# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 14 ნოემბერი 2002 №217 (1739) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

ფეიენოორდი — ნიუკასლი 2:3. მატჩის მიწურულს კრეიგ ბელამის მიერ გატანილმა გოლმა მეორე ჯგუფურ ეტაპზე „ნიუკასლი" გაიყვანა

CHAMPIONS LEAGUE

# ევროპა მოწესრიგდა

## სუფრის თავში ვან გაალის თვრამეტიანი დაჯდა

გასრულდა ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპი და სანამ ხვალ შემორჩენილი თექვსმეტი გუნდი სამეორეეტაპოდ დაწყვილდება, გუშინდელი ღამის გამორჩეულ ამბებზე ვთქვათ.

„ბარსელონამ" „კამპ ნოუზე" დასცა სრულიად თურქეთის სიამაყე „გალათასარაი". ეს, თავისთავად მოსალოდნელი შედეგი კი ორი რამითაა აღსანიშნავი. ერთი, რომ „ბარსელონა" ერთადერთია წლევანდელ ლიგაში, ვინაც ჯგუფი ექვსი მოგებით და 18 ქულით ჩაამთავრა, მეორე კი ის, რომ „გალათასარაი" უეფას თასზე გადაბარგებასაც ვერ ეღირსა.

ამათი ჯგუფიდან გააღწია მოსკოვის „ლოკომოტივმა", რომელსაც ისეთი სტარტი ჰქონდა, რუსთა მეორე ეტაპზე თამაში ძნელად წარმოსადგენი იყო.

E ჯგუფში „ნიუკასლმა" შეძლო ის, რაც ლიგას არ ახსოვს – ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ ჯგუფიდან აქამდე არავინ გასულა, მაგრამ ბობი რობსონის გუნდმა სამი წაგება ამდენივე გამარჯვებით გადასწონა და გადაუსწრო უმოტივაციო „იუვენტუსთან" შინ დამარცხებულ კიევის „დინამოს".

ჯერ კიდევ გუშინწინ „სპარტაკმა" უქულოდ ჩაამთავრა ლიგა, მაგრამ თუ მართლა გასაოცარ ჩავარდნაზე მიდგა საქმე, „ბაიერნი" უნდა ვახსენოთ, რომელმაც „ლანსთან" ფრედ ითამაშა და ევროპას ისე მოსწყდა, ერთი გამარჯვებაც ვერ მოიპოვა.

| | |
|---|---|
| არსენალი | იუვენტუსი |
| დორტმუნდი | ნიუკასლი |
| ვალენსია | მანჩესტერი |
| ბაზელი | ლევერკუზენი |
| რეალი | მილანი |
| რომა | დეპორტივო |
| ინტერი | ბარსელონა |
| აიაქსი | ლოკომოტივი |

ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასული ამ თექვსმეტი გუნდის წილისყრა ხვალ, ჟენევაში გაიმართება



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — გალათასარაი. დანი გარსიამ ადამა მოჰამედ სარს ზემოდან დახედა



REUTERS მოსკოვიდან

ლოკომოტივი — ბრიუგე. სტუმარმა ფილიპ კლემენტმა და მოსკოველმა ჟულიო სეზარმა მოყინულ მოედანზე კარგად ისრიალეს.



REUTERS მილანიდან

მილანი — დეპორტივო. თომას ჰელვეგმა და სიმ დალა ბონამ ალბერტო ლუკე შუაში სენდვიჩის ყველივით მოიქციეს



REUTERS მიუნხენიდან

მიუნხენელებს „ოლიმპიაშტადიონზე" მისვლით თავი არ შეუწუხებიათ და არც შემცდარან

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003

## I ჯგუფური ეტაპი. VI ტური

### E ჯგუფი

#### დინამო 1:2 იუვენტუსი

1:0 შაცკიხი (49), 1:1 სალასი (62), 1:2 ზალაიეტა (81)

დინამო: რევა, გაიოვი, ბოდარი, ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, ხაცკევიჩი (ლეკო 60), დმიტრულინი, ბელკევიჩი, გუსინი, შაცკიხი, რინკონი (ჩერნატი 67)

მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო

იუვენტუსი: კიმენტი, პესოტო, ფერარა, იულიანო, ბირინდელი, ბაიოკო, კონტე (ბარონი 26), ძამბროტა, ოლივერა (დელვეკიო 76), სალასი (ვასანი 90), ზალაიეტა

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

75 000 მაყურებელი

#### ფეიენოორდი 2:3 ნიუკასლი

0:1 ბელამი (45), 0:2 ვაიანა (49), 1:2 ბომბარდა (65), 2:2 ლურლინგი (71), 2:3 ბელამი (90)

ფეიენოორდი: ლოდევეიკსი, გაანი, ვან ვონდერენი, პაუვე, რზასა, ბოსველტი, ჩ. სონგო (ბომბარდა 52), ემერტონი, ლურლინგი, ბუფელი, კალუ

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვეიკი

ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, დაბიზასი, ე. ობრაიენი, ჰიუზი, ჯენასი, სპიდი, ვაიანა (ბერნარი 83), დაიერი, შირერი, ბელამი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

მსაჯი: ფრანც-ხავერ ვაკი (გერმანია)

48 000 მაყურებელი

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:3 | 13 |
| ნიუკასლი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:8 | 9 |
| დინამო | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| ფეიენოორდი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |

„იუვენტუსი" და „ნიუკასლი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „დინამო" უეფას თასზე

### F ჯგუფი

#### მანჩესტერი 2:0 ლევერკუზენი

1:0 ვერონი (42), 2:0 ვან ნისტელროი (69)

[illegible] ვერ გაიტანა პენალტი (17, [illegible])

მანჩესტერი: რიკარდო, ო'შეა, ბლანი (გ. ნევილი 77), ფერდინანდი, სილვესტრი, ბეკჰემი (სოლშაერი 77), ვერონი, ფორლანი, გიგზი (ჩედვიკი 84), სქოულზი, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ლევერკუზენი: ბუტი, ფრანკოვიჩი, კლაინი, რამელოვი, სებესცენი, ბალიტში (პრეისი 81), ბაბიჩი, შნაიდერი, ბიერჰოფი (დოგანი 78), ბერბატოვი (ფრანსა 62), ბრდარიჩი

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

მსაჯი: ვლადიმირ ჰრინაკი (სლოვაკეთი)

66 185 მაყურებელი

#### ოლიმპიაკოსი 3:3 მაკაბი

0:1 ბადირი (9), 0:2 აიეგბენი (11), 1:2 ალექსანდრისი (37), 1:3 კატანი (40), 2:3 ნინიადისი (61), 3:3 ანცასი (79)

ოლიმპიაკოსი: ელევთეროპულოსი, პაცაცოღლუ, ვენეტიდისი, ანცასი, იანაკოპულოსი, ჯორჯევიჩი, კარამბუ, დრამენი, ზეტერბერგი (ნინიადისი 46), ჯოვანი (ოფორი-კუაიე 69), ალექსანდრისი

მწვრთნელი: ხრისტო კატანეცი

მაკაბი: ავატი, ხარაზი, ბენადო, ბადირი, კეისი, აიეგბენი, როსო, ზანო, კატანი (ზანდბერგი 69), ეფრაიმოვი, პრალია

მწვრთნელი: იცხაკ შუმი

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

8 700 მაყურებელი

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 5 | 0 | 1 | 16:8 | 15 |
| ლევერკუზენი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:11 | 9 |
| მაკაბი | 6 | 2 | 1 | 3 | 12:12 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 11:17 | 4 |

„მანჩესტერი" და „ლევერკუზენი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „მაკაბი" უეფას თასზე

### G ჯგუფი

#### მილანი 1:2 დეპორტივო

1:0 ტომასონი (34), 1:1 ტრისტანი (58), 1:2 მაკაი (70)

მილანი: აბიატი, ჰელვეგი, შიმიჩი, მალდინი, კალაძე ([illegible] 86), დალა ბონა, პირლო, სერჯინიო, რუი კოშტა (ინძაგი 75), შევჩენკო, ტომასონი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

დეპორტივო: ხუანმა, სკალონი, ეცტორი, რომერო, კაპდევილა, მაურო სილვა, სერხიო, ფრანი (აკუნია 65), ტრისტანი, მაკაი (დუშერი 79), ლუკე (ამავისკა 56)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

56 294 მაყურებელი

#### ბაიერნი 3:3 ლანსი

1:0 ნ. კოვაჩი (6), 2:0 სალიჰამიჯიჩი (16), 2:1 ფინკი (20ს.კ.), 2:2 ბაკარი (54), 3:2 ფოილნერი (87), 3:3 ბლანშარი (90)

ბაიერნი: ვესელსი, სალიჰამიჯიჩი, რ. კოვაჩი, ლინკე, ლიზარაზუ, ფინკი, ნ. კოვაჩი, შოლი (შვაინშტაიგერი 76), პიზარო (ელბერი 46), ცეკლერი, ფოილნერი (ლამი 90)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

ლანსი: ვარმუზი, კულიბალი, რ. სონგი, ბაკი, რული (კეიტა 69), ბლანშარი, კორიდონი ([illegible] 29), სიბიერსკი, ბაკარი (ტომერი 76), უტაკა, მორეირა

მწვრთნელი: ჟოელ მიულერი

მსაჯი: პოლ ალერტსი (ბელგია)

22 000 მაყურებელი

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:7 | 12 |
| დეპორტივო | 6 | 4 | 0 | 2 | 11:12 | 12 |
| ლანსი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:11 | 8 |
| ბაიერნი | 6 | 0 | 2 | 4 | 9:13 | 2 |

„მილანი" და „დეპორტივო" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ლანსი" უეფას თასზე

### H ჯგუფი

#### ბარსელონა 3:1 გალათასარაი

1:0 დანი (10), 1:1 ჯიჰანი (20), 2:1 ხერარდი (45), 3:1 ჯოვანი (56)

ბარსელონა: ენკე, რაიციგერი, პუიოლი (ტორტოლერო 61), დე ბური (ოლეგერი 86), ფ. ნავარო, მენდიეტა, ხერარდი, მოტა, სავიოლა, დანი, ჯოვანი (კლუივერტი 79)

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

გალათასარაი: მონდრაგონი, სარი, ბულენტი, ალმაგრო, უმიტი, ჯიჰანი (სუათი 46), ბასტურკი (აიჰანი 61), ერგიუნი, ჰაში, ბინტუ, ბალიჩი (კრისტიანი 75)

მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი

მსაჯი: დიკ ვან ეგმონდი (ჰოლანდია)

40 000 მაყურებელი

#### ლოკომოტივი 2:0 ბრიუგე

1:0 ჟულიო სეზარი (44), 2:0 ლოსკოვი (90)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლეკჰეტო, იგნაშევიჩი, პაშინინი, სენიკოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ჟულიო სეზარი (ადამუ 90), ევსეევი, ბუზნიკინი

მწვრთნელი: იური სიომინი

ბრიუგე: ვერლინდენი, დე კოკი, სიმონსი, ვან დერ ჰეიდენი, ბ. მარტენსი, კლემენტი, ვერჰეიენი, ენგლებერტი, სტოიკა, მენდოსა, ს. მარტენსი

მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

20 000 მაყურებელი

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 0 | 13:4 | 18 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| ბრიუგე | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| გალათასარაი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |

„ბარსელონა" და „ლოკომოტივი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ბრიუგე" უეფას თასზე

## გერმანია

ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი

კაიზერსლაუტერნი 0:2 ბოხუმი

## ჰოლანდია

I დივიზიონი. გადადებული მატჩი

უტრეხტი 2:0 ზვოლე

## დანია

თასის 1/8 ფინალი

ორჰუსი 0:3 ვიბორგი

## საბერძნეთი

თასის 1/16 ფინალი

საპასუხო მატჩები

პანიონიოსი 2:1 ირაკლისი

იონიკოსი 3:0დ.დ. (2:0) ერგოტელისი

## შოტლანდია

ლიგის თასი

1/4 ფინალი

ლივინგსტონი 0:2 დანდი იუნ.

# კალათბურთი

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 13 ნოემბერი

### A ჯგუფი

ბინეტონი 95:80 სკივერი

ციბონა 94:77 ბარსელონა

### C ჯგუფი

პარტიზანი 79:71 ვილერბანი

ულიონსკი 84:93 ულქერი

### B ჯგუფი

პანათინაიკოსი 77:65 უნიკახა

## ულების თასი

ULEB Cup

პირველი ჯგუფური ეტაპი. V ტური. 13 ნოემბერი

### B ჯგუფი

სკაილაინერზი 83:78 როზეტო

## ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. VI ტური. A ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS

მასპინძელი ფრენსის ჯეფერსი და სტუმარი იოჰან ფოგელი

# ეინდჰოვენი ოსერის თავია

## ჰიდინკმა სამშობლო ვერ აკორმა

**ლონდონში** ჩასული „პსვ ეინდჰოვენი" საკმაოდ დიდი იმედით ელოდა „არსენალთან" მატჩს. ჰოლანდიელებს პირველი წრის მატჩიც კარგად ახსოვდათ — მაშინ ინგლისელებმა 4:0 დაჩაგრეს გუს ჰიდინკის შეგირდები. გეხსომებათ, ამ შეხვედრაში ლიგის უსწრაფესი გოლი გავიდა — ბრაზილიელმა ჟილბერტო სილვამ მეოცე წამზევე დაამწუხრა მასპინძლები.

ესეც რომ არა, პსვ-ს ხომ საკმაოდ კარგი შანსი ჰქონდა საუეფათასო მესამე ადგილის მოსაპოვებლად, თუმც ამაში მოცილეც ჰყავდა. ფრანგული „ოსერი" კბილებალესილი ელოდა ჰოლანდიელთა ფეხის გადაბრუნებას.

ფრანგები ვერაფერს გახდებოდნენ, პსვ-ს „ჰაიბერიზე" რომ მოეგო. ჰქონდა კიდეც ამის შანსი. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, არც თუ საბრძოლო შემადგენლობით მოთამაშე მეთოფეები 35-ე წუთზე სულაც კაცნაკლულნი დარჩნენ. ნორვეგიელმა ტომ-ჰენინგ ოვრებომ კოლო ტურეს აუფრიალა წითელი ბარათი. მსაჯმა ტურეს დენის რომედალის მიმართ უხეშობა არ აპატია.

სტუმრებმაც უფრო მხნედ შეუტიეს, თუმც ვეტერან დევიდ სიმენის შემცვლელ შვედ რამი შაბანს ვერაფერი დააკლეს. ახალგაზრდა მეკარემ საკმაოდ წარმატებული დებიუტი მოიწყო „ჰაიბერიზე" და ჰოლანდიელთა რამდენიმე მწვავე იერიშიც ჩაკლა.

მერე პსვ-მ „ოსერის" მიერ „დორტმუნდის" კარში გატანილი გოლის ამბავი შეიტყო და ჯგუფში ჩარჩენა უკვე რეალური გახდა.

რეალობას სტუმრებმა თვალი ვერ გაუსწორეს და ბედის საძიებლად ისევ „არსენალის" კარს მიაწყდნენ. ბოლო წუთებზე მეტოქის საჯარიმოში მეკარე რონალდ ვატერეუსიც ჩავიდა, თუმც ამაოდ — პსვ ჯგუფში მეოთხე ადგილზე ჩარჩა.

„საშინაო მატჩები ძალიან სუსტად ჩავატარეთ და ამან შესაბამისი შედეგი მოგვიტანა. ჩვენ ჯერაც არ ვიცით, როგორ უნდა ვითამაშოთ ჩემპიონთა ლიგაში შინ. არადა, დღეს ურიგოდ ნაღდად არ გვითამაშია. საწყენია, რომ მიზანი ვერ ავისრულეთ, თუმც რას ვიზამთ. სამწუხაროდ ევროსეზონი ჩვენთვის ნაადრევად დასრულდა" — თქვა ნამატჩევს პსვ-ს გულგატეხილმა თავკაცმა გუს ჰიდინკმა.

„მომდევნო ეტაპზე ადრევე გავედით, დღეს კი მიხარია, რომ ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ. ახლა პრემიერლიგასაც უნდა მივხედოთ. ვფიქრობ, დღევანდელი შედეგი კანონზომიერია, თუმც ჩემი აზრით, მსაჯს ტურე არ უნდა გაეძევებინა. ამის გამო უმეტესი დრო კაცნაკლულებმა ვითამაშეთ, მაგრამ მეტოქისთვის უპირატესობა მაინც არ დაგვითმია" — საპირისპირო განწყობაზე იყო „არსენალის" მესაჭე არსენ ვენგერი.

ამგვარად, „არსენალი" და პსვ განსხვავებული ხასიათით დაშორდნენ ერთმანეთს. ინგლისელები ჩემპიონთა ლიგას შემორჩნენ. ბოლოადგილოსანი პსვ კი ამბიციებს ეროვნულ ჩემპიონატში თუ დაიკმაყოფილებს.

### არსენალი 0:0 პსვ ეინდჰოვენი

ლონდონი. „ჰაიბერი". 35 274 მაყურებელი. მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

შააბანი, ლუჟნი, სტეპანოვსი, სიგანი, ვან ბრონკჰორსტი, პირესი, ვიეირა (ჟილბერტო სილვა 78), ედუ, კ. ტურე, ანრი (ბერხკამპი 64), ჯეფერსი (ვილტორდი 70)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოიერი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 80), ჰოფლანდი, ბუმა, ფოგელი (ლუსიუსი 42), რომედალი, ვან ბომელი, ბრუგინკი (ვან დერ შააფი 71), რობენი, კეჟმანი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

გაძევება: ტურე (35)

ჯარიმა: 13-24; კუთხური: 6-5; კარისკენ დარტყმა: 5-2; კარში დარტყმა: 2-3; თამაშგარე: 2-6

### ოსერი 1:0 დორტმუნდი

ოსერი. „აბე დეშანი". 20 000 მაყურებელი. მსაჯი: სორინ კორპოდინი (რუმინეთი)

1:0 მვარუვარი (76)

ფაბიან კოლი, რადეტი, გრიხტინგი, ბუმსონგი, ჟაურე, ლაშუერი, ფეიე, ტაინიო (მვარუვარი 46), ფადიგა, მატისი, ჯ. სისე
მწვრთნელი: გი რუ

ლემანი, ჰაინრიხი (დემელი 26), მადუნი, კელი, დედე, ფრინგსი, რიკენი, როიტერი, ლეანდრო (რეინა 81), კოლერი, ევერტონი (ამოროზო 65)
მწვრთნელი: მათიას ზამერი

ჯარიმა: 14-13; კუთხური: 3-4; კარისკენ დარტყმა: 6-1; კარში დარტყმა: 4-2; თამაშგარე: 1-6

# ზიმბაბვურად

## დორტმუნდმა თავი შეინახა

**„ოსერმა"** თავისი საქმე „ხუთიანზე" გააკეთა — „დორტმუნდი" დაამარცხა, ცოტა ინგლისური „არსენალიც" „დაიხმარა" და ნანატრი მესამე ადგილიც გულში ჩაიხუტა.

ფრანგებს მატჩამდე გვარიანი პრობლემები ჰქონდათ. „დორტმუნდთან" ვერ ითამაშებდნენ ოლივიე კაპო და ფილიპ მექსეში, რაც „ოსერისთვის" არცთუ პატარა ძალაა.

მატჩის ბედი კი შეცვლაზე შესულმა ბენჟამინ მვარუვარიმ გადაწყვიტა. 76-ე წუთზე მვარუვარიმ აუტიდან მიიღო ბურთი, გერმანელთა საჯარიმოში დატრიალდა და ძლიერი დაბალი დარტყმით იენს ლემანს აუღებელი გაუტანა.

გი რუს შეგირდებს მანამდეც შეეძლოთ გატანა, მაგრამ ტრავმამოშუშებულმა ჯიბრილ სისემ მიზანი ვერ გაისწორა. ერთხელაც კუთხურიდან ლიონელ მატისის ჩაწოდებულს დაჰკრა ლონივრად, მაგრამ ბურთი კარის ხაზიდან ლეანდრომ გამოიტანა. კიდევ ერთი სახიფათო დარტყმული კი სისეს უკვე იენს ლემანმა აუღო.

საბოლოოდ, როგორც გითხარით, ბენჟამინ მვარუვარიმ იყოჩაღა. ზიმბაბველი თავდამსხმელი გი რუმ მეორე ტაიმის პირველივე წუთიდან ჩართო თამაშში და მანაც გაუმართლა.

„ოსერი" უეფას თასზე გადაინაცვლებს, რაც ფრანგებისთვის ერთობ წარმატებული შედეგია. სეზონის წინ ხომ მათ ყველა ჯგუფში მეოთხე ადგილზე ჩარჩენას უწინასწარმეტყველებდა, თუმც მხცოვანი გი რუს დამოძღვრილმა გუნდმა საკუთარ თავს აჯობა.

„დორტმუნდმა" კი ამოცანა ნაადრევად ამოხსნა და ბოლო ტურში მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნითღა თუ გავიდა მოედანზე. მათიას ზამერის გუნდსაც ვერავინ გაამტყუნებს — ამ ეტაპზე მიზანი მიღწეული იყო, წინ კი გრძელი და მძიმე სეზონია.

შეინახეთ თავი, ვისაც შეგიძლიათ...

**კახა შალამბერიძე**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:4 | 10 |
| დორტმუნდი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| ოსერი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:7 | 7 |
| პსვ ეინდჰოვენი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |

*„არსენალი" და „დორტმუნდი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ოსერი" უეფას თასზე*




REUTERS

ბენჟამინ მვარუვარის ერთმა ზუსტმა დარტყმამ „ოსერი" უეფას თასზე გაიყვანა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. VI ტური. B ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

ხულიო ერნან როსიმ ლივერპულელები პირველივე შეტევისას დაადონა

# ყირამალა

**„ბაზელი“** პირველი შვეიცარიული გუნდია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ასე შორს შეტოპა — მეორე ჯგუფურ ეტაპზე გააღწია.

ამ ამბავს წინ დიდი ლეწვა უძღოდა. ბაზელში ბრიტანელი ფანები იქაურებს გადაეყარნენ და ერთ-ერთ ბისტროში ბული დააყენეს.

არანაკლები ბული დადგა მოედანზე თამაშისას. მატჩი ისეთი თვალსასეირო გამოდგა, რომ ქომაგთ ამითაც არ მოუწყენიათ. „ლივერპულს“ მხოლოდ გამარჯვება სწყუროდა, მოსაგებადაც გავიდა მოედანზე. მაგრამ არც „ბაზელი“ აპირებდა დათმობას და ამიტომაც მეტოქენი ჯიქურ ეკვეთნენ ერთურთს.

კლოდ კოლომბოს ჩასტვენილი სტადიონზე დანავარდობდა, პირველი გოლი რომ გავიდა. მასპინძელთა მრავალსვლიანი კომბინაცია ხულიო ერნან როსიმ დააგვირგვინა. საჯარიმოსთან გათამაშებული ბურთი ჰაკან იაკინმა მოიგდო, მარცხენა ფლანგზე ჩაისეირნა და უყურადღებოდ მიტოვებულ როსის კარის წინ პასი გაუჭრა. მცველის ზურგსუკნიდან გამომხტარმა ფორვარდმა თავისუფლად შეაგორა ბურთი კარში.

სწრაფმა გაშვებულმა გოლმა „ლივერპულის“ გეგმები ოდნავ არია, მაგრამ თავისი ჩვეული თამაშის აწყობა სტუმრებმა მაინც შეძლეს. ორჯერ მარტო ემილ ჰესკის მართებდა გატანა, ხოლო ჩეხმა ვლადიმირ შმიცერმა ნაღდი საგოლე გაანიავა. ამის პასუხად ჰაკან იაკინმა საჯარიმო დაჰკრა და რომ არა ირეი დუდეკის ყოჩაღობა, ანგარიში მალევე გაორდებოდა.

იაკინი ისე იყო ანთებული, მისი განელება თითქმის შეუძლებელი გახდა. სიღრმიდან ჩარბენილ კრისტიან ხიმენესს საჯარიმოში ბურთი ოსტატურად წაუმძღვარა, არგენტინელმაც არ დაახანა და დუდეკს ახლო კუთხეში დაბალი დაურტყა.

მეორე გოლმა კრისტიან გროსი აალმუკა. მასპინძელთა მწვრთნელი ადგილს ვერ პოულობდა, ტუჩებს ნერვულად აცმაცუნებდა და მოსალოდნელი წარმატებისგან ავანსად გამოწვეული სიამოვნება თვალებში უთრთოდა.

„სენტ იაკობმა“ მალე მესამედ იხუვლა. დუდეკისგან მოგერიებულ ბურთს ატუბა ჩაუსაფრდა და მახვილი კუთხიდან სხვაობა სამამდე გაზარდა.

შესვენების შემდეგ ნაადრევად გახარებული „ბაზელი“ მოეშვა. „ლივერპულმა“ თავისი ჯანი მოქაჩა და ჯიგრიანად შეუტია. ულიემ ჯერარდის ნაცვლად სალიფ დიაო ჩართო თამაშში. სტუმრებმა მარწუხებს მოუჭირეს, რამაც მეორე ტაიმის დაწყებიდან 16 წუთში ნაყოფიც გამოიღო. საჯარიმოს წინა ხაზიდან დენი მერფიმ ცუბერბიულერს მარჯვენა დაბალ კუთხეში ზუსტად დაურტყა. აქედან სამი წუთი არ იყო გასული, რომ ვლადიმირ შმიცერმა სხვაობა ერთამდე შეამცირა.

მატჩის დასრულებას ხუთი წუთი უკლდა, როცა მსაჯმა მურატ იაკინი საჯარიმოში ხელით თამაშში ამხილა. გოლბიჭა ოუენმა პირველი ცდიდან ცუბერბიულერს ვერ აჯობა, მაგრამ დამატებული ზუსტი გამოუვიდა.

დარჩენილი დრო მასპინძელთათვის სატანჯველად იქცა, რადგან ანგარიშში უდიდესი უპირატესობა ქარს გაატანეს. მაგრამ საბოლოოდ „ბაზელმა“ სასურველ ფრეს გამოჰკრა ხელი.

კრისტიან გროსს სათქმელი ბლომად კი დაუგროვდა, მაგრამ მისი ბაგე-კბილიდან მხოლოდ ბრწყინვალე, შესანიშნავი, ისტორიული, გადასარევი და მისთანები ისმოდა.

ჟერარ ულიე გაწბილებული ჩანდა, თუმცა თავის ბიჭებს მეორე ტაიმში ნათამაშები ფეხბურთი შეუქო: „ჩვენ სულ სხვა გეგმები გვქონდა, სწრაფმა გაშვებულმა გოლმა კი ყველაფერი ყირამალა დააყენა. ამ დროისთვის ალბათ ყველაზე უბედური კაცი ვარ, მაგრამ ვამაყობ იმით, რომ შესვენების შემდეგ გუნდმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა. პირველ ნახევარში ბევრი გასატანი ვერ გავიტანეთ და საბოლოოდ დავისაჯეთ კიდეც. როცა გავათანაბრეთ, გამარჯვების იმედი მომეცა, დრო კი აღარ გვეყო.“

## ბაზელი 3:3 ლივერპული

ბაზელი. „სენტ იაკობი“. 29 534 მაყურებელი. მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)

1:0 როსი (2), 2:0 ხიმენესი (22), 3:0 ატუბა (29), 3:1 მერფი (61), 3:2 შმიცერი (64), 3:3 ოუენი (85)

*ოუენმა ვერ გაიტანა პენალტი (85, მეკარე)*

ცუბერბიულერი, ჰაასი, მ. იაკინი, ცვისიგი, ატუბა, კანტალუპი, ესპოზიტო, ჰ. იაკინი (კუმანტარაკისი 90), ერგიჩი, როსი (ტუმი 76), ხიმენესი (ბარბერისი 66)
მწვრთნელი: კრისტიან გროსი

დუდეკი, კარაგერი (დიუფი 80), ტრაორე, ჰიიპია, რიისე, მერფი, ჰამანი, შმიცერი, ჯერარდი (დიაო 46), ოუენი, ჰესკი (ბაროში 62)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე

ჯარიმა: 16-11; კუთხური: 6-8; კარისკენ დარტყმა: 4-5; კარში დარტყმა: 10-11; თამაშგარე: 3-4

## ვალენსია 3:0 სპარტაკი

ვალენსია. „მესტალია“. 25 000 მაყურებელი. მსაჯი: გეორგიოს კაზნაფერისი (საბერძნეთი)

1:0, 2:0 ხუან სანჩესი (38, 46), 3:0 აურელიო (78)

პალოპი, გარიდო, ჯუკიჩი, მარჩენა, აურელიო, დე ლოს სანტოსი (დ. ნავარო 86), ანგულო, კილი გონსალესი, სალვა (ალბიოლი 71), მისტა, ხუან სანჩესი (დავიდ სანჩესი 86)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ლევიცკი, კოვტუნი, მიტრესკი (ოგუნსანია 77), მოიზესი, აბრამიძე, კუდრიაშოვი (სონინი 62), კალინიჩენკო, ბეზროდნი (მარსელო სილვა 46), პაველენკო, ბესჩასტნიხი, დანიშევსკი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი

ჯარიმა: 16-23; კუთხური: 6-3; კარისკენ დარტყმა: 6-2; კარში დარტყმა: 10-3; თამაშგარე: 8-1

# ტანჯულას აღსასრული

## სახალხო გუნდიდან ევროპულ სირცხვილამდე

**ივარძნილი** მოსკოვის „სპარტაკის“ ტანჯვა დასრულდა. გეორგიოს კაზნაფერისის საფინალო სასტვენმა რუსებს კოშმარის აღსასრული აუწყა. ამ ჩასტვენას სრულიად რუსეთი ელოდა. ექვსიდან ექვს მარცხს „სპარტაკისთვის“ ამაოდ არ ჩაუვლია. ისინი არაერთი ვაი-რეკორდის მფლობელნი გახდნენ: პირველი ჯგუფური ეტაპის უცუდესი შედეგი აჩვენეს, ბურთების გადასარევი სხვაობით, რაც ლიგის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. გაიტანეს ოდენ ერთი ბურთი და ამ მაჩვენებლითაც განუმეორებელნი არიან. მთლიანად სალიგო მატჩების მოუგებელი სერია კი 17-მდე გაზარდეს.

მატჩამდე რაფაელ ბენიტესმა თქვა, ისეთ გუნდს, როგორიც „სპარტაკია“, „ვალენსიას“ სათადარიგოები ღირსით გადათელავენო. ამიტომაც დაასვენა მთავარკაცები. სასტარტო შემადგენლობაში არ იყვნენ ისინი, ვინც პრიმერადივიზიონის გასულ ტურში „ბეტისთან“ თავიდანვე ითამაშეს. თავის მხრივ, ოლეგ რომანცევმა ბრძანა, რომ სულაც არაა მოხიბლული სათადარიგოებთან შეხვედრის პერსპექტივით, რადგან ამ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ პრესტიჟისთვის ვთამაშობთო.

მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო, მოსკოვური ამბების მსხვერპლთ მიაგეს პატივი.

კლასში სხვაობა თავიდანვე გამოჩნდა. მასპინძლები ვითარებას აკონტროლებდნენ და ბურთს თავიანთ ჭკუაზე დააგელვებდნენ. მართალია, ტემპი თვალისმომჭრელი არ იყო, მაგრამ რუსთა კართან ხიფათი მაინც იქმნებოდა. „სპარტაკი“ კონტრიერიშებზე ცდილობდა თამაშის აწყობას, წინ ეულად მოხეტიალე დანიშევსკიმ ერთხელ ოციოდ მეტრიდან კარისკენ დარტყმაც კი გაბედა.

„ვალენსიას“ მუდმივ კანკალში ჰყავდა მეტოქის კარსაცავი. რუსთა მცველები ხშირად აგებდნენ ორთაბრძოლებს სწრაფ ვალენსიელებთან. შესვენებამდე საგოლე მომენტები ჰქონდათ დე ლოს სანტოსს, სალვა ბალესტას და მისტას. ხუან სანჩესის დაკრული ძელმა აისხლიტა, მაგრამ ტაიმის მილეულს მან მაინც შეძლო ლევიცკის დამწუხრება. მიგელ ანხელ ანგულომ მარჯვენა ფრთიდან ახლო ძელთან ჩაჰკიდა და სანჩესის თავური უზადო გამოდგა.



REUTERS

ხუან სანჩესმა (მარცხნივ) დუბლი მიითვალა, მოსკოველი მოიზესი კი ვერაფერს გამორჩა

მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო, როცა პირველი გოლის ავტორმა ლაზათიანი დარტყმით ცხრიანში ჩაჭედა ბურთი. აქვე დამთავრდა რომანცევის გუნდის პრესტიჟის ამბავი, თუმცა კალინიჩენკოს ერთხელ მიეცა გატანის შანსი — პალოპს გასცდა, დაარტყა, მაგრამ არაზუსტად. ამის შემდეგ მიტრესკიმ, აბრამიძემ, კოვტუნმა და „სპარტაკის“ ახალწვეულმა ნიგერიელმა ოგუნსანიამ იმით დაამახსოვრეს თავი მასპინძლებს, რომ კაზნაფერისს ყვითელი ბარათი დასტყუეს.

მერე ფაბიო აურელიომ საჯარიმოდან ლევიცკის მესამე გოლიც ჩაუცურა და მეტოქენი საბოლოოდ დამშვიდდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 6 | 5 | 1 | 0 | 17:4 | 16 |
| ბაზელი | 6 | 2 | 3 | 1 | 12:12 | 9 |
| ლივერპული | 6 | 2 | 2 | 2 | 12:8 | 8 |
| სპარტაკი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:18 | 0 |

„ვალენსია“ და „ბაზელი“ გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ლივერპული“ უეფას თასზე

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. VI ტური. C ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გენკი 1:1 რეალი

გენკი. „ფენიქსი". 22 500 მაყურებელი. მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)

0:1 ტოტე (21), 1:1 სონკი (86)

მონსი, ტომაშიჩი, სოლი, ზოკორა, რუმანი, ბესლია, სკოკო, ინგრაო (სუზუკი 60), ტიისი, სონკი, ვანდენბერგი (შატელე 69)
მწვრთნელი: სეფ ვერგოოსენი

სესარი, იერო (ელგერა 30), რობერტო კარლოსი, მინამბრესი, პავონი, კონსეისაო, სელადესი, ფიგუ (მაკმანამანი 67), გუტი, მორიენტესი (სოლარი 77), ტოტე
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ჯარიმა: 21-13; კუთხური: 13-4; კარისკენ დარტყმა: 7-6; კარში დარტყმა: 8-7; თამაშგარე: 1-2

# ვის რა შხარია...
## გენკმა სამში ერთი გაიტანა

**ბელგიის** ჩემპიონი „გენკი" ისეთი შთაგონებული გახლდათ, რომ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში თავისი მეორე გოლი მაინცდამაინც მადრიდის „რეალს" გაუტანა.

აღსანიშნავია, რომ პირველი გოლი ბელგიელთა კარში გავიდა, იგი ახალგაზრდა ესპანელმა ფეხბურთელმა ტოტემ გაიტანა, ვინაც, თუ გახსოვთ, მადრიდელებს შარშან „ვალიადოლიდში" ჰყავდათ განათხოვრებული და იქ ისე კარგად ითამაშა, სასწრაფოდ დაიბრუნეს. მაგრამ მასპინძლებმა იყოჩაღეს, განსაკუთრებით შრომისმოყვარე უესლი სონკმა გამოიჩინა თავი და 86-ე წუთზე შევარდა კიდეც ბურთი „სამეფო გუნდის" კარში.

„რეალთან" ანგარიშის გათანაბრებამ სტადიონზე შეკრებილი 22 500 გულშემატკივარი ერთიანად ალაფრთოვანა, თუმცა სატურნირო თვალსაზრისით არც ფრეს და არც ქომაგთა ყიჟინას დიდი მნიშვნელობა არ აღმოაჩნდა, „გენკი" მაინც ბოლო ადგილზე გავიდა.

ერთი სიტყვით, „ფენიქს სთედიუმზე", წვიმაში, 23 წლის თავდამსხმელის წყალობით სტუმრები დაწინაურდნენ. მასპინძლები კი მუხლჩაუხრელად შრომობდნენ და სახიფათო მომენტებსაც ქმნიდნენ, ოღონდ ბოლო დარტყმის შესრულებაში რაღაც ხელს უშლიდათ.

ტოტემ კი ასე შეაგდო: ლუიშ ფიგუმ კუთხური ჩააწოდა, ფრანსისკო პავონმა ბურთი თავით კარის გასწვრივ გადააგდო, ხოლო ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტმა ახლოდან არ დაუშვა შეცდომა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონთა თასის ცხრაგზის მფლობელს „გენკის" საჯარიმო მოედანი მაინცდამაინც არ დაუწიოკებია.

თუმცა, მეორე ტაიმის დასაწყისში ფერნანდო მორიენტესმა ჩინებული შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან — ძელს გაარტყა ბურთი. საბოლოოდ კი, რაულის, ზინედინ ზიდანის და რონალდოს არყოფნაში „რეალმა" მისთვის ჩვეული შეტევები ვერ განახორციელა.

მოგეხსენებათ, შაბათს მადრიდელებმა, ესპანეთის პირველობაზე „რაიო ვალეკანოს" მოუგეს, მაგრამ იმ შემადგენლობიდან ვისენტე დელ ბოსკემ მხოლოდ სამი ფეხბურთელი, რობერტო კარლოსი, ლუიშ ფიგუ და ფერნანდო იერო დატოვა.

მეორე ტაიმში ბურთს ძირითადად „გენკი" ფლობდა, თუმცა მეკარე სესარის კარში ბელგიელებმა მხოლოდ სამჯერ დაარტყეს, აქედან ერთხელ ზუსტად.



REUTERS

მადრიდელმა ტოტემ (მარჯვნივ) დიდმეგოლეთა არყოფნაში გაილაღა

# კაპელო შერცხვა
## ბერძნებს ამით რა?

**აეკ**-ის ნახევარმცველის, ვალტერ სენტენოს მიერ თამაშის მიწურულს გატანილმა გოლმა, მართალია „რომას" სიმწრის ოფლი აღინა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ისე დასრულდა, ფაბიო კაპელოს რომ სურდა — იტალიის დედაქალაქი ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის თამაშებსაც უმასპინძლებს.

„რომამ" თამაში თვალშისაცემი შემადგენლობით დაიწყო. კერძოდ, მოედანზე არ იყვნენ ფრანჩესკო ტოტი, გაბრიელ ბატისტუტა და ვენსან კანდელა. პირველს მუხლი სტკიოდა, მეორეს კოჭი, ხოლო მესამეს მყესი. ერთი სიტყვით, კაპელომ თავდასხმაში 20 წლის ანტონიო კასანო და ვინჩენცო მონტელა ათამაშა, რომლებმაც იმედი არ გაუწბილეს და პირველ ტაიმში გვარიანად ბატონობდნენ ბერძენთა საჯარიმოს მისადგომებთან და შიგნით. მათი პასები აეკ-ის მცველებს ხშირად აბნევდა.

27-ე წუთზე კინაღამ ანგარიშიც გაიხსნა — კაფუს ჩაწოდებულ კუთხურს კრისტიან პანუჩი ყოჩაღად გამოეხმაურა, მაგრამ ბურთი სულ ცოტათი აცდა მიზანს.

თუმცა, მე-40 წუთზე „რომამ" მაინც შეძლო დაწინაურება. კაფუმ ჩააწოდა, პანუჩიმ თავით კარისკენ დაარტყა, ხოლო დელვეკიომ მიჰკრა, ბურთი ბერძენ მეკარეს, დიონისის ხიოტისს გადაუგდო და მიმდინარე ლიგაში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

შესვენების შემდეგ, ათენელების მწვრთნელმა, დუშან ბაევიჩმა თავისი გუნდის გამოცოცხლება სცადა — ნახევარმცველის, მიხალის კაპსისის მაგივრად მოედანზე იუგოსლაველი თავდამსხმელი ილია ივიჩი შეუშვა. ეს ერთგვარი რისკი იყო, თუმცა რისკი იმისაა, რომ შიგადაშიგ უნდა გაამართლოს. ვერ გეტყვით, გაუმართლდა თუ არა იმ დღეს ათენელებს — ალბათ, უფრო არა, — მაგრამ 63-ე წუთზე ივიჩმა კინაღამ გაათანაბრა ანგარიში. რომაელთა საბედნიეროდ მას, ბოლო წამს, მცველი ვალტერ სამუელი გადაეფარა.

შემდეგ კასანომ ვერ გამოიყენა უპირატესობის გაზრდის საუცხოო შესაძლებლობა, რომელიც შემთხვევამ ჩაუგდო ხელთ.

ხოლო ბოლოს, ანგარიშის გათანაბრების დროც დადგა. მარცხნიდან ნახევარმცველმა ვასილის ცარტასმა ჯარიმა სწრაფად გაათამაშა, ბურთი ჩააწოდა, ხოლო სენტენომ სისხარტე გამოიჩინა, მცველებს დაუსხლტა და გაქვითა.

„ძნელი მატჩი იყო, მაგრამ ჯგუფიდან გავედით და ეს გვახარებს — განაცხადა იტალიელმა გოლის ავტორმა მარკო დელვეკიომ — მართალია ცოტა დაღლილები ვიყავით და სხეულს ისე ვერ ვიმორჩილებდით, მაგრამ ცუდად არ გვითამაშია. ვფიქრობ, შემდეგ ეტაპს დამსახურებულად მივაღწიეთ."

„შედეგმა გაგვაწბილა — თქვა აეკ-ის თავკაცმა დუშან ბაევიჩმა — განა მხოლოდ ამ შეხვედრაში, ყველა მატჩში გამოვავლინეთ ჩვენი საუკეთესო თვისებები. ცოტა იღბალსაც რომ შეეწყო ხელი, შემდეგ ეტაპზე გავიდოდით. შესვენების შემდეგ, ცვლილებები რომ განვახორციელეთ, გაცილებით უკეთ ავთამაშდით. სამწუხაროდ, თავი იჩინა იმან, რომ ზოგი ფეხბურთელი საუკეთესო ფორმაში არ გვყავდა."

## რომა 1:1 აეკ

რომი. „სტადიო ოლიმპიკო". 32 734 მაყურებელი. მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)

1:0 დელვეკიო (40), 1:1 სენტენო (90)

ანტონიოლი, პანუჩი, სამუელი, ძებინა, ლიმა (გიგუ 82), ემერსონი, ტომაზი, კაფუ (ბომბარდინი 90), დელვეკიო, მონტელა, კასანო (კუფრე 65)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ხიოტისი, გეორგატოსი, რაიტი, ბორბოკისი, კაპსისი (ივიჩი 46), ლაკისი (ცარტასი 61), კაცურიანისი, ზაგორაკისი, სენტენო, ნიკოლაიდისი, ნალიცისი (კოსტენოგლუ 46)
მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი

ჯარიმა: 18-20; კუთხური: 10-6; კარისკენ დარტყმა: 5-3; კარში დარტყმა: 10-1; თამაშგარე: 13-7

„რომას" მწვრთნელი ფაბიო კაპელო:

„სირცხვილია, ჯგუფში პირველი ადგილი რომ ვერ მოვიპოვეთ. ამისთვის ყველაფერი გავიღეთ. მაგრამ არა უშავს, მშვიდად ვარ. მონტელა მუდამ გოლზეა დაგეშილი, ასევე არიან ტოტი და ბატისტუტა. სამწუხაროა, რომ ცალკეულ კონკრეტულ ეპიზოდებში უყურადღებოდ ვითამაშეთ და მეტი გოლი ვერ გავიტანეთ."

**ბაჩუნა ძიძია**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 2 | 3 | 1 | 15:7 | 9 |
| რომა | 6 | 2 | 3 | 1 | 3:4 | 9 |
| აეკ | 6 | 0 | 6 | 0 | 7:7 | 6 |
| გენკი | 6 | 0 | 4 | 2 | 2:9 | 4 |

„რეალი" და „რომა" გავიდნენ მეორე ეტაპზე, აეკი უეფას თასზე



REUTERS

ვალტერ სენტენომ (მარჯვნივ) რომაელებს გამარჯვება არ დაანება

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. VI ტური. D ჯგუფი




ერნან კრესპომ პირველ გოლს ორ წუთში მეორეც მიაყოლა

## აიაქსი 1:2 ინტერი

ამსტერდამი. „ამსტერდამ არენა". 50 272 მაყურებელი. მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

0:1, 0:2 კრესპო (50, 52), 1:2 ვან დერ ვაარტი (90)

დიდულიკა, ტრაბელსი, ბერგდოლმო, დე იონგი, ვან დამი (ვიჩგე 58), გალაშეკი (იაკუბუ 70), პიენაარი (ვამბერტო 58), ვან დერ ვაარტი, მაქსველი, ვან დერ მეიდე, მიდო
მწვრთნელი: რონალდ კუმანი

ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, კოკო, კონსეისაუ (ადანი 70), დი ბიაჯო, ალმეიდა, მორფეო, ვიერი, კრესპო (რეკობა 65)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

ჯარიმა: 23-19; კუთხური: 8-2; კარისკენ დარტყმა: 20-3; კარში დარტყმა: 5-6; თამაშგარე: 2-1

# რამდენიმე ეპიზოდი კრესპოს და მსაჯების ცხოვრებიდან

**ერნან კრესპოს**, როგორც ფორვარდის, ორწუთიანი კლასი საკმარისი აღმოჩნდა „ინტერნაციონალეს" გამარჯვებისთვის.

რაფაელ ვან დერ ვაარტმა პრესტიჟის გოლი მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში შეაგდო, მაგრამ ამსტერდამელებს თავი ისედაც ქუდში ჰქონდათ — „ლიონმა" ნორვეგიაში ხომ ვერ დაჯაბნა მასპინძლები და მეორე ეტაპზეც „აიაქსი" გავიდა.

მსაჯები კი ჩემპიონთა ლიგის მატჩებშიც სცოდავენ და ამით ნებისმიერი რანგის მატჩის არბიტრს კიდევ ერთ გასამართლებელ საბუთს უძლვნიან.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, პირველი გოლის ფაქტორი არც თუ უმნიშვნელოა და ვან დერ ვაარტის გოლი რომ შვეიცარიელ ურს მაიერს ჩაეთვალა, იქნებ „აიაქსს" არც წაეგო.

„დარწმუნებული ვარ, რომ თამაშგარეში არ გახლდით. გოლი რომ არ ჩაითვალა ყველანი გაწბილებულები და გაოგნებულები დავრჩით. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ასეთ შეხვედრაში უაღრესად გვესაჭიროებოდა სწრაფი გოლი" — თქვა ნამატჩევს ვან დერ ვაარტმა, რომელმაც არჩათვლილი გოლი მე-3 წუთზე შეაგდო.

აიაქსელთა დამრიგებელმა რონალდ კუმანმა კი დასძინა: „ასეთი დონის მატჩებში მსაჯები ასეთ შეცდომებს არ უნდა უშვებდნენ, მაგრამ ვიცოდით, რომ ყველაფერი შესაძლებელი იყო. როცა ორი ბურთი გავუშვით, მას მერე მხოლოდ ნორვეგიიდან მომლოდინე კარგი ამბების იმედად ვიყავი. ჩვენ ექვსი ქულა ავართვით „ლიონს" და ვფიქრობ, შემდეგ ეტაპზე დამსახურებულად გავედით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ახალგაზრდული გუნდისთვის, როგორიც „აიაქსია" — ფეხბურთელებს ხომ სულ მცირე, კიდევ ექვსი თამაში მოუწევთ მაღალ საერთაშორისო დონეზე. ჩვენი მეორე ეტაპზე მოხვედრა მთლიანად ჰოლანდიური ფეხბურთისთვისაც მნიშვნელოვანია."

სხვათა შორის, „აიაქსის" ქებას მილანელთა არგენტინელმა თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმაც მიჰყო ხელი: „მეტოქე ჩვენსავე ნახევარზე იჭერდა ბურთს და შესვენებამდე შეტევაში მთლიანად ჩავფლავდით. როცა პირველ ტაიმში ჩვენი ფორვარდები ბურთს იღებდნენ, აქედან ვერანაირ სარგებელს ვერ ვპოულობდით. მეორე ტაიმში კი გაცილებით უკეთ ვითამაშეთ და კრესპოს ორმა ბრწყინვალე ეპიზოდმა ზუსტად ის მოგვცა, რაც გვჭირდებოდა. „აიაქსმა" რიგ მომენტებში შთამბეჭდავად ითამაშა, თანაც მას სამი საკვანძო ფეხბურთელი აკლდა — კივუ, ლიტმანენი და იბრაჰიმოვიჩი."

არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ კრესპოს საგოლე პასები ლუიჯი დი ბიაჯომ და კრისტიან ვიერიმ უბოძეს.

ხოლო მანამდე მიდოს უნდა გაეტანა 59-ე წუთზე, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ფრანჩესკო ტოლდოს კარის მარცხენა ძელს მოხვდა.

## რუსენბორგი 1:1 ლიონი

ტრონჰეიმი. „ლერკენდალი". 21 008 მაყურებელი. მსაჯი: პიუ დალასი (შოტლანდია)

1:0 ბრატბაკი (68), 1:1 გოვუ (84)

არასონი, სტრანდი, ბასმა, ჰოფტუნი, საარინენი, ენერლი (ლუდვიგსენი 79), სკამელსრუდი, ბერგი, იონსენი, ბრატბაკი, კარადასი
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი

კუპე, მიულერი, ედმილსონი, კასაპა, ბრეშე, ვიოლო (ჟუნინიო პერნამბუკანო 66), დიარა, დორასო (ლუინდულა 72), კარიერი (დელმოტი 72), ს. ანდერსონი, გოვუ
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

ჯარიმა: 16-13; კუთხური: 5-5; კარისკენ დარტყმა: 5-10; კარში დარტყმა: 3-4; თამაშგარე: 3-4

# სონი ვისი ამფსონია?

**ციფ** ტრონჰეიმში ნილს არნე ეგენი მხურვალედ, ზეიმით გააცილეს. თვით მატჩზე კი 61 წლის ასაკში გადამდგარმა მწვრთნელმა ორი სიტყვით თქვა: „საკმარისად კარგად ვერ ვითამაშეთ, უნდა მოგვეგო."

არადა, „რუსენბორგს" მართლა უნდა მოეგო თუნდაც იმის გამო, რომ სტუმრად „ლიონთან" 0:5 წააგო და შურისძიება მართებდა. მაგრამ ისიცაა, რომ ფრანგები მხოლოდ მოგებით დაიზღვევდნენ მეორე ეტაპზე გასვლას, რაც არ გამოუვიდათ, თუმც ამასთან ახლოს კი იყვნენ.

„ლიონი" კლასით ჯაბნიდა მეტოქეს და მატჩის პირველ ხუთ წუთში სონი ანდერსონმა ორი საგოლე შანსი სკანდინავიურ ქარს გაატანა.

მასპინძლებმა დაგვიან ენერლის თექვსმეტიოდე მეტრიდან დარტყმულით უპასუხეს, რომელიც მიზანს ასცდა. მიზანი ვერ გაისწორეს ვიკამ დორასომ და ერიკ კარიერმა, თორემ „რუსენბორგს" კარგი დღე არ დაადგებოდა.

თუმც მონდომებულმა ვიკინგებმა ერთ ეპიზოდში ძალიან მძლავრად შეუტიეს და იღბალმა ფრანგებსაც გადახედა — აზარ კარადასმა პირისპირ ვერ დაჯაბნა გრეგორი კუპე.

მეორე ტაიმში მეტოქეებმა სახიფათო კუთხურებით უჩხვლიტეს ერთმანეთს, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

68-ე წუთზე ჰარალდ ბრატბაკმა ასე გაიტანა — პატრიკ მიულერის შეცდომით ისარგებლა, კლაუდიო კასაპას გაცდა და კუპეს ბადეში დაბალი ბურთი შეუცურა.

ფრანგთა მთავარსარდალმა პოლ ლე გუენმა ორი ახალი შემტევი შეუშვა მოედანზე, თუმც მათ თავი დიდად არ გამოუჩენიათ.

გოვუმ კი ანდერსონთან გათამაშებული კომბინაციით გაათანაბრა.

„ლიონს" მოგების საუკეთესო შანსიც მიეცა — ბოლო წამებზე ანდერსონმა ორი მეტრიდან ააცილა თავური „რუსენბორგის" კარს.

...თვალებში წყალჩამდგარმა ეგენმა პენსიაზე გასვლის თაობაზეც მოკლედ მოჭრა: „ვფიქრობ, საკმარისი გავაკეთე."

და მართლაც, მისი ხელმძღვანელობით „რუსენბორგმა" ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ რვა გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. ნორვეგიელებმა 56 მატჩი ითამაშეს ამ ტურნირში, 16 მოიგეს, 13 ფრედ დაამთავრეს და 26 წააგეს. მაგრამ ის კია, რომ გასვლაზე 1999 წლის შემოდგომის მერე არ მოუგიათ.

საფრანგეთის ჩემპიონი ლიონის „ოლიმპიკი" უეფას თასზე თამაშით გააგრძელებს ევროპულ ასპარეზს.

**დავით თავართქილაძე**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:8 | 11 |
| აიაქსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ლიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:9 | 8 |
| რუსენბორგი | 6 | 0 | 4 | 2 | 4:12 | 4 |

„ინტერი" და „აიაქსი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ლიონი" უეფას თასზე




ტრონჰეიმელთა კაპიტანმა ერიკ ჰოფტუნმა (მარჯვნივ) და ერიკ კარიერმა ბურთი ვერ გაიყვეს

# უეფას თასი 2002-2003. მეორე ეტაპი. საპასუხო მატჩები. დღეს

UEFA CUP

ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) — ლიდსი (ინგლისი) (0:1)
შალკე (გერმანია) — ლეგია (პოლონეთი) (3:2)
დენიზლისპორი (თურქეთი) — სპარტა (ჩეხეთი) (0:1)
ვიკინგი (ნორვეგია) — სელტა (ესპანეთი) (0:3)
ლევსკი (ბულგარეთი) — შტურმი (ავსტრია) (0:1)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ლაციო (იტალია) (0:1)
ლიბერეცი (ჩეხეთი) — იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) (0:1)
ბეშიქთაში (თურქეთი) — ალავესი (ესპანეთი) (1:1)
ფულემი (ინგლისი) — დინამო (ხორვატია) (3:0)
ბლექბერნი (ინგლისი) — სელტიკი (შოტლანდია) (0:1)
სლავია (ჩეხეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) (1:3)
მიდტიულანდი (დანია) — ანდერლეხტი (ბელგია) (1:3)
ანართოსისი (კვიპროსი) — ბოავიშტა (პორტუგალია) (1:2)
გრასჰოპერი (შვეიცარია) — პაოკ (საბერძნეთი) (1:2)
ვერდერი (გერმანია) — ვიტესი (ჰოლანდია) (1:2)
პსჟ (საფრანგეთი) — ნაციონალი (რუმინეთი) (2:0)
ვისლა (პოლონეთი) — პარმა (იტალია) (1:2)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ფენერბაჩე (თურქეთი) (1:1)
პორტუ (პორტუგალია) — აუსტრია (ავსტრია) (1:0)
ბეტისი (ესპანეთი) — ჟიჟკოვი (ჩეხეთი) (1:0)



ჰაპოელელებმა ჰარი კიუელს (მარჯვნივ) და მის „ლიდსს" არ უნდა გაატანინონ, თავად კი ორი გაუტანონ

## კაპიტანმა გუნდი ორ გოლად გაყიდა
### თურქულ კვერცხებს ბერძნული ჩაენაცვლება

**ორი კვირის** წინ სტამბოლში დაწყებული რია-რია და კვერცხების სროლა დღეს უეჭველად ათენში გაგრძელდება. „პანათინაიკოსი" „ფენერბაჩეს" დაჩოქებას ეცდება და ამ საქმეში ბერძნებს თავისი გიჟმაჟი ქომაგების იმედი უფრო აქვთ, ვიდრე საკუთარი თავისა, იმიტომ რომ, „პანათინაიკოსი", რაც სეზონი დაიწყო, სულ არ ჰგავს იმ ძველ გუნდს. მერე სერხიო მარქარიანიც წავიდა და როცა ძალიან გაუჭირდათ, ისევ უკან უხმეს. ერთი სიტყვით, დღეს „პანა" ახლიდან ასაწყობია. ბოლო ტურშიც გაჭირვებით სძლია წამოჩიტულ „პანიონიოსს". „ფენერბაჩე" კი პირიქით — ჩემპიონატი მძიმედ დაიწყო, ვერნერ ლორანტს მტრებიც მოუმრავლდა, მის გადადგომაზეც დაიწყეს საუბარი, მაგრამ გერმანელმა სპეციალისტმა უპრინციპულეს დაპირისპირებაში „გალათასარაისთან" 6:0 იმარჯვა, „სამსუნიც" ზედ მიაყოლა და კრიტიკოსებიც მისკენ შებრუნდნენ — ბოლო კვირის განმავლობაში ქება-დიდებას არ აკლებენ.

„ფენერბაჩე" ათენში რამდენიმე ტრავმირებულ მოთამაშეს მოისაკლისებს, მათ შორის ებრაელ ჰაიმ რევივოს და, ალბათ, ბრაზილიელ ვაშინგტონსაც, თუმცა ბრაზილიელის საქმე ისეა, რომ მატჩის წინ ექიმები გადაწყვეტენ, ითამაშოს თუ არა. რაც მთავარია, არიელ ორტეგას არაფერი სჭირს და გერმანელ მწვრთნელს სწორედ მისი ეიმედება.

ბრიტანეთის სამეფოს ბლექბერნში იჭაურობისა და გლაზგოს „სელტიკის" ჯახი შეაზანზარებს. გლაზგოშიც საკმაოდ კარგად მოთამაშე „ბლექბერნმა" ბოლო წუთზელა დათმო შეხვედრა „სელტიკთან". არცთუ ურიგო ფორმაში მყოფ ინგლისელებს საკმაოდ დიდი შანსი აქვთ ერთბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრისა. მით უმეტეს, გრემ სუნესს თავის დროზე „რეინჯერსში" უბურთავია და ძველი მეტოქის დამარცხება მწვრთნელის რანგში დიახაც რომ გულში ამოუჭრია.

დიდი გაწამაწია იქნება „ცრვენა ზვეზდა" — „ლაციოს" მატჩშიც. „წითელი ვარსკვლავი" სტადიონზე ტრიბუნების გავსებას და ქომაგთა მხარდაჭერას ელის — მასპინძლებს რომში კინკილა გოლით წაგებულის სათავისოდ შემობრუნების დიდი იმედი აქვთ. განსაკუთრებით ნახევარმცველი ბრანკო ბოშკოვიჩია შეგულიანებული: „ჩვენ სასურველი ანგარიშით გამარჯვების და შემდეგ ეტაპზე გასვლის ბრწყინვალე შანსი გვაქვს. გულშემატკივრებისგან მძლავრ მხარდაჭერას ველით. გუნდში ძალიან ნიჭიერი, ახალგაზრდა, ამბიციური ბიჭები გვყავს და ყველაფერს გავიღებთ მეტოქის გზიდან ჩამოსაშორებლად."

თავის მხრივ უკან დახევას ლაციოელი ჯუზეპე პანკაროც არ აპირებს და თვლის, რომ „ლაციო" კლასის ხარჯზე გაივლის „ვარსკვლავებზე".

„ჰაპოელი" „ლიდსს" ცნობილი მიზეზების გამო ფლორენციაში დაუხვდება. ებრაელთა გუნდის ნახევარმცველმა იოსი აბუქსისმა მეტოქე შეაქო, თუმცა არც თავისები დავიწყებია: „უნდა ვაღიარო, რომ „ლიდსი" მაღალი კლასი გუნდია და გამოცდილებაც არ აკლია, მაგრამ არც „ჰაპოელია" ხელწამოსაკრავი. ყველას კარგად ახსოვს ჩვენი შარშანდელი გამოსვლა უეფას თასზე. ვფიქრობ, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები თანაბარია. ერთადერთი, რაც გულს მიკლავს, ისაა, რომ სამშობლოში თამაში არ შეგვიძლია და აქეთ-იქით ხეტიალში გულშემატკივართა მცირე ლაშქარი დაგვყვება."

მარცხენა ფლანგის პრობლემა აწუხებს ტერი ვენეიბლზს. „ლიდსს" დღეს დენი მილსი და ალან სმიტი არ ეყოლება, ხოლო მარცხნივ მეხევერი ჯეისონ უილკოქსის დაყენებას აპირებს.

ინგლისში ერთი ბურთით დამარცხებულ „ლიბერეცს" ნამდვილად შესწევს იმის უნარი, რომ „იფსვიჩს" სძლიოს. ჩეხთა კაპიტან ტომაშ იანუს უკვე გეგმაც მოფიქრებულ-დალაგებული ჰქონია: „პირველი გოლი ნახევარ საათში უნდა გავიტანოთ, მეორე კი მატჩის დასრულებამდე ხუთი-ათი წუთით ადრე და საქმეც მოგვარებული იქნება."

შეიძლება ითქვას, რომ ვიგოს „სელტა" მეორე ეტაპზე თავდაგულებულია, მაგრამ გალისიელებს „ჩელსი" არ უნდა დაავიწყდეთ. სწორედ „ჩელსი" დაიფრინეს ნორვეგიელმა ვიკინგებმა მას შემდეგ, რაც ლონდონში 1:2 წააგეს. ამიტომ „სელტას" სიფხიზლე მართებს. ერთი კია, ნორვეგიაში ჩემპიონატი დასრულებულია და საეჭვოა, იქაურები საუკეთესო ფორმაში იყვნენ.

თემურ ქეცბაიას „ანორთოსისი" ბოლოჯამს დაჩაჩანაკებულ „ბოავიშტას" იახლებს. კვიპროსელებს 1:0 ჰყოფნით პორტუგალიელთა მოსაცილებლად, ხოლო დავით მუჯირის „შტურმს" ალბათ ბულგარეთში საკმაოდ გაუჭირდება. „ლევსკი" ურიგო გუნდი არაა და ოდენ ერთბურთიანი სხვაობის შემობრუნებას კბილებით შეეცდება.

კრაკოვის „ვისლას" პარმაში გატანილი გოლის იმედი აქვს. თუ მას შინ ერთს მიუმატებს და თავად არ გაუშვებს, იტალიელების გავარდნას გააფორმებს. ეს ძნელი საქმე იქნება, რადგან „პარმა" ამჟამად კარგად გამოიყურება და „ლაციოსთან" მატჩშიც ჯიგრიანად იბურთავა.

სტუმრად ერთნაირი ანგარიშებით — 1:0 აქვთ მოგებული „პორტუს" და „ბეტისს". არც მეტოქეები ჰყავთ მრისხანეთა ნუსხიდან. საეჭვოა, რომ პორტუგალიელებმა „აუსტრიასთან", ხოლო ესპანელებმა „ჟიჟკოვთან" მონაგარი გაანიავონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## მაგათი გვაოცებს
### მოიგო და უიღბლობას ჩივის

**უეფას თასის** პირველი სამი მატჩი, როგორც წესი, ჩემპიონთა ლიგის ტურს დაემთხვა და სამივე მოსალოდნელი შედეგითაც დასრულდა.

შტუტგარტში ფელიქს მაგათის გუნდმა უნგრული „ფერენცვაროში" მიიღო და ამანატიდისისა და მეირას გოლებით მოუგო.

გამარჯვება გამარჯვებად, მაგრამ შტუტგარტელებს ამისთვის ოფლის ღვრა მაინც დასჭირდათ. უნგრელები წაგებას არ აპირებდნენ და ბუნდესლიგელებმა პირველი გოლი მხოლოდ 65-ე წუთზე შეაგდეს — ამანატიდისმა იოჰან ზაიცის პასით იხეირა. ბოლოსწინა წუთზე კი „ფერენცვაროშის" კაპიტანმა პიტერ ლიპჩეიმ კარში მიმავალი ბურთი ხელით შეაჩერა, რის გამოც წითელი ბარათით და თერთმეტმეტრიანით დაისაჯა.

უნდა ითქვას, რომ მთელი მატჩის მანძილზე „ფერენცვაროშს" რეალური მომენტი ერთხელ, პირველი ტაიმის დასაწყისში შეექმნა, როდესაც შტილის 8 მეტრიდან დარტყმული თომას ერნსტის კარს ასცდა. ეს იყო და ეს.

„შტუტგარტს" კი უკვე პირველივე ტაიმში მართებდა საქმის მოთავება. უნგრელთა გამწარება სილვიო მაისნერს და კრასიმირ ბალაკოვს შეეძლოთ. ბულგარელი საერთოდაც საუკეთესო იყო, განსაკუთრებით მის მიერ შესრულებული სტანდარტულები იყო სახიფათო. კრასიმირის ერთ-ერთი სახიფათოდ ჩახვეული კი უნგრელთა ხარიხამ აისხლიტა.

„რთული მატჩი იყო. „ფერენცვაროში" კარგი გუნდია. ჩვენ მას პირველივე წუთიდან შევუტიეთ და მხოლოდ მატჩის მიწურულს გავტეხეთ, თუმცა ცოტა იღბალიც რომ გვქონოდა, საქმეს პირველ ნახევარშიც მოვათავებდით. საერთოდ კი ჩემი გუნდით ვამაყობ. ვფიქრობ, შემდეგ წრეშიც კარგად ვითამაშებთ" — განაცხადა ფელიქს მაგათმა ნამატჩევს.

შვედურ „იურგორდენთან" მატჩის შემდეგ კმაყოფილი იყო „ბორდოს" მწვრთნელი ელი ბოპიც: „ჩვენი თამაშის ხარისხით მართლაც კმაყოფილი ვარ. მეტის გატანაც გვმართებდა. მართალია, ბოლო 20 წუთი ცოტა მოვეშვით, მაგრამ საგანგაშო არაფერი გვჭირს" — თქვა მან.

თამაშში და საერთოდ ამ ორმატჩიან დუელში გადამწყვეტი სიტყვა ბორდოელმა ფეინდუნომ თქვა. „ბორდოს" თავდამსხმელმა შვედეთში გატანილს ორი გოლიც დაამატა და გუნდი შემდეგ წრეში გაიყვანა.

განსაკუთრებულად ლამაზი მისი პირველი გოლი გამოდგა. ფეინდუნომ მარჯვენა ფლანგზე ერთბაშად სამი შვედი გააბითურა და ფელიქს ისააკსონს მარჯვენა მაღალ კუთხეში გაუტანა.

მატჩის გმირმა ნამატჩევს ჟურნალისტებს თამაში გაურჩია: „ის სათამაშო სქემა, რომელიც ჩვენ დღეს გამოვიყენეთ, საკმაოდ განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ჩემპიონატში ვთამაშობთ. სწორედ ამ ახლებურმა სქემამ მოგვცა უფრო აგრესიული თამაშისა და ბევრი მომენტის შექმნის შესაძლებლობა. ამავე დროს საკმაოდ დიდი ძალაც დავხარჯეთ, რამაც მატჩის ბოლოს იჩინა თავი."

შემდეგ ეტაპზეა ესპანური „მალაგაც". თუმცა თავის ფრანგთა და გერმანელთაგან განსხვავებით, პრიმერადივიზიონელებს მეტი ჯაფა დაადგათ. პირველი მატჩის შემდეგ „მალაგას" თავი ქუდში სულაც არ ჰქონდა. საკუთარ მოედანზე კი პოლონელებმა მე-16 წუთზე გესიორის გოლით ანგარიშიც გახსნეს და ესპანელები გაქვითვის აუცილებლობის წინაშე დააყენეს. „მალაგამაც" დიდხანს არ ალოდინა მასპინძლები და ოთხიოდე წუთში დარიო სილვას გარჯით ანგარიში გათანაბრდა — სანდრომ ფლანგიდან, პოლონელი მცველების ზურგსუკან, საჯარიმოში მარტო მდგარ ურუგვაელს ჩააწოდა, სილვამაც გრეგორ შამოტულსკის აუღებლად გაუტანა.

გაშვებულმა გოლმა პოლონელები გააქტიურა და ტაიმის დარჩენილ დროში კონტრერასს ჯუკიჩის და ორჯერ ბერკარტის დარტყმულების აღება მოუხდა, ერთხელაც გოლის ავტორმა გესიორმა თავური ააცილა ხუთი მეტრიდან. საუკეთესო მომენტი კი პოლონელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაუშვეს ხელიდან. კროლის გასროლილს კვლავ კონტრერასი დაუხვდა. რაც შეეხება ესპანელებს, მათ მე-20 წუთის შემდეგ პირველი საგოლე მომენტი 68-ეზე შექმნეს. დარიო სილვამ პირდაპირ შამოტულსკის დაუმიზნა. ესპანელთა მეორე გოლი ამ მომენტიდან მალევე გავიდა.



ბორდო — იურგორდენი. მასპინძელი ბრუნო ბასტო და მარკუს კარლსონი

REUTERS

კიკი მუსამპამ დარიო სილვა-დელი ვალდესის კომბინაცია დააგვირგვინა და მატჩის ინტრიგაც საბოლოოდ ჩაკლა.

**სერგი ძორიძე**

### უეფას თასი 2002-2003
#### მეორე ეტაპი. საპასუხო მატჩები

UEFA CUP

**შტუტგარტი** (გერმანია) 2:0 **ფერენცვაროში** (უნგრეთი) (0:0)
1:0 ამანატიდისი (65), 2:0 მეირა (90)
გაძევება: ლიპჩეი (89, ფერენცვაროში)

**ამიცა** (პოლონეთი) 1:2 **მალაგა** (ესპანეთი) (1:2)
1:0 გესიორი (16), 1:1 დარიო სილვა (20), 1:2 მუსამპა (72)
ამიცა: შამოტულსკი, ბიენიუკი, ჯოკოვიჩი (ლიტა 77), სკრობეკი, დემბინსკი, კროლი, გესიორი, ზიემბუკი, მ. [illegible], ბურხარდტი, კუხარსკი
მწვრთნელი: მიროსლავ იაბლონსკი
2 500 მაყურებელი

**ბორდო** (საფრანგეთი) 2:1 **იურგორდენი** (შვედეთი) (1:0)
1:0, 2:0 ფეინდუნო (36, 50), 2:1 ელმანდერი (72)

# პროვოკატორი მსაჯი

## სახელმოუხვეჭელმა კოლერს ლემანის ხელთათმანები ჩააცვა

ამ უქმეებზე გამართული ბუნდესლიგის მეთერთმეტე ტურის ცენტრალურ მატჩად ტყუილად როდი ითვლებოდა „ბაიერნი" — „დორტმუნდის" დაპირისპირება. ჩემპიონის ტიტულისათვის მებრძოლი ამ ორი გრანდის ჭიდილი ყოველთვის დიდი მოვლენა იყო და მოლოდინიც თითქმის ყოველთვის მართლდებოდა, მაგრამ ახლანდელი ჯახი განსაკუთრებით თვალსასეირო გამოდგა.

ხუმრობის ხასიათზე მყოფმა გერმანიის საფეხბურთო კავშირმა მატჩის მსაჯობა გამოუცდელ არბიტრ ვაინერს მიანდო, ვინაც წითელ-ყვითელი ბარათები დაუზოგავად უფრიალა ფეხბურთელებს. განსაკუთრებით დორტმუნდელები დაზარალდნენ. ნახევარმცველ ტორსტენ ფრინგსს ორი გაფრთხილების შემდეგ გასახდელისკენ მიუთითეს, ასევე მოექცნენ მეკარე იენს ლემანს, რომელიც მსაჯთან შელაპარაკების გამო ორჯერ გააყვითლეს. დანარჩენ გაფრთხილებებზე ლაპარაკიკი საკმაოდ შორს წაგვიყვანს და არც ღირს.

იენს ლემანის განცხადებით, რომელიც გაძევების შემდეგ ახმახმა ჩეხმა იან კოლერმა შეცვალა, წითელ ბარათს მასზე მეტად ბავარიელთა ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი იმსახურებდა, მეტისმეტად ხისტად მეთამაშო. ქვემოთ ლემანთან მისსავე კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუს გთავაზობთ



ჯოვანი ელბერი და იენს ლემანი ერთმანეთს ცუდად გადაეკიდნენ

**— ჰერ ლემან, ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გამოუცდელმა მსაჯმა, მსოფლიოს დონის მეკარის მოედნიდან გაძევებით, სახელის მოხვეჭა გადაწყვიტა. თქვენი აზრით, რატომ დაისაჯეთ?**

— შეიძლება მე ზედმეტი მომივიდა, მაგრამ აუცილებლობად მივიჩნიე, მეთქვა მისთვის, რომ გამომწვევად გვექცეოდა და თავისი საქციელით შეკამათების საბაბს გვაძლევდა.

**— კონკრეტულად რა უთხარით ჰერ ვაინერს?**

— პირველად ვკითხე, თუ რატომ აფრთხილებდა მხოლოდ ჩვენს ფეხბურთელებს, მეორედ კი მივანიშნე, რომ პიზარომ გოლი თამაშგარედან გაგვიტანა. ალბათ, ეს არ უნდა გამეკეთებინა.

**— კი მაგრამ, თქვენი შენიშვნები სამართლიანია...**

— გეთანხმებით. ვაინერმა ჯოვანი ელბერიც დაინდო და არ გააფრთხილა. არადა, ელბერი ხედავდა, რომ ბურთს პირველი მე მივუსწრებდი, მაგრამ იერიში არ შეუწყვეტია. იგი ნამდვილად იმსახურებდა ყვითელ ბარათს იმ სიტუაციაში.

**— მართალია, თითქოს თქვენ ვაინერს ურჩიეთ, გარკვეული პერიოდი დაესვენა, თუ საერთოდ არ ამოშლილიყნენ მსაჯთა სიიდან?**

— მთლად ეგრე არ იყო. მე მხოლოდ ის ვუთხარი, ვიმედოვნებ, აღარ მომიწევს თქვენი მსაჯობით თამაში-თქო.

**— რას იტყვით იმ მატჩში თქვენი შემცვლელის, იან კოლერის შესახებ?**

— მისით უნდა ვიამაყოთ. იანმა რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია.



სტივ კროუფორდი

# დაბდურა დანდი შეკარეულებოდ

### შოტლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

**დანდი 2:3 დანფერმლაინი**

1:0 ნიკოლსონი (მ.კ.), 2:0 ლოველი (19), 2:1 ბრიუსტერი (26), 2:2 კროუფორდი (74), 2:3 დეირი (84)
დანდი: სპერონი, მაკეი, უილკი, ტ. ჰატჩისონი, ერნანდესი, ბ. სმიტი, რაე, ბრედი, ნოვო (მაირი 79), კაბალიერო, ლოველი (სარა 83)
გიორგი ნემსაძე სათადარიგო იყო
ზურაბ ხიზანიშვილი დისკვალიფიცირებულია
მწვრთნელი: ჯიმ დაფი
გაძევება: უილკი (76)
5 475 მაყურებელი

**ამ მოგებით** „დანფერმლაინი" მესამე ადგილზე ალზევდა, თუმც „რეინჯერსსა" და „სელტიკს" რომ ვერ დაეწევა, ცხადია.

არადა, ჩვენებურთა „დანდი" კარგი ფორით იგებდა, მაგრამ დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. მეტიც, რომ არა ჯულიან სპერონის ვაჟკაცობა, უფრო დიდი სხვაობითაც წააგებდა.

ზურაბ ხიზანიშვილმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა, ხოლო გიორგი ნემსაძე სათადარიგო გახლდათ.

თუმც „დანდის" ესპანელ შემტევ ნაჩო ნოვოს მეორე ტაიმში დიდებული საგოლე შანსი რომ არ გაეცუდებინა, ვინძლო „დანდის" მოეგო კიდეც.

აღსანიშნავია, შოტლანდიის ნაკრების ფორვარდ სტივ კროუფორდის გოლი — ის ორ დანდელს გასცდა, მერე სპერონი აფორთხიალა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. სწორედ ამ გოლის შემდეგ ლი უილკი რატომღაც მსაჯს აუხირდა და წითელიც დაუნთეს.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 14 | 12 | 2 | 0 | 43:8 | 38 |
| სელტიკი | 14 | 12 | 1 | 1 | 42:8 | 37 |
| დანფერმლაინი | 14 | 7 | 2 | 5 | 26:28 | 23 |
| ჰართსი | 14 | 5 | 6 | 3 | 23:18 | 21 |
| ჰიბერნიანი | 14 | 6 | 0 | 8 | 19:23 | 18 |
| დანდი | 14 | 4 | 5 | 5 | 15:21 | 17 |
| აბერდინი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:24 | 16 |
| კილმარნოკი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:27 | 16 |
| ლივინგსტონი | 14 | 4 | 3 | 7 | 21:21 | 15 |
| პარტიკ თისლი | 14 | 2 | 6 | 6 | 11:22 | 12 |
| დანდი იუნ. | 14 | 2 | 4 | 8 | 11:25 | 10 |
| მოზერუელი | 14 | 2 | 3 | 9 | 14:27 | 9 |

**ლიბერტადორესის** თასის მფლობელი პარაგვაული „ოლიმპია" ფიფამ შესაძლოა, საკონტინენტთაშორისო თასისთვის მატჩიდან მოკვეთოს. ფიფას, როგორც მოგეხსენებათ, არ უყვარს, როცა მისი ქვეშევრდომი ქვეყნების საფეხბურთო მოხელეები სასამართლოში ჩივიან, თუ რამე ვერ გაიყავით, საქმეს თავად გაგირჩევთო — ფიფელებს ასეთი პრინციპი აქვთ. სწორედ ამ მიზეზით უქნევს თითს ფიფა „ოლიმპიას", რომლის პრეზიდენტი ოსვალდო დომინგესი სამოქალაქო სასამართლოში უჩივის პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ოსკარ ჰარისონს და ვიცე-პრეზიდენტ ანტონიო კოლომან როდრიგესს.

თუ გახსოვთ, ამ ერთი თვის წინ ოლიმპიელები უშუალოდ ფიფას უჩიოდნენ და მაშინაც, ცხადია, მუქარა მიიღეს. ამან ოსვალდო დომინგესი თითქოს შეაშინა და სარჩელი გამოიწვია. ახლა კი უფიქრია, ფიფას მაგიერ ჩემსავე ფედერაციას თუ ვუჩივლებ, ვებ გამივიდესო.

„არ მაინტერესებს საკონტინენტთაშორისო თასი, ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან" — აცხადებს ოსვალდო დომინგესი. „ამ საქმეს" კი ფულის უკანონოდ მითვისება ჰქვია. თავიდან მოვყვეთ.

1994 წლის საფრანგეთის მუნდიალზე პარაგვაის ნაკრებს 96-კაციანი დელეგაცია ახლდა, ხოლო ფედერაციამ (მისივე განცხადებით) დელეგატთა კეთილმოწყობას 2 მილიონი დოლარი დაახარჯა.

არადა, დომინგესის თქმით, იქ 2 მილიონის საფასურისა არაფერი იყო და ამ თანხის უდიდესი ნაწილი ფედერაციის შეფობამ მიითვისა.

„ოლიმპიამ" ასუნსიონის სამოქალაქო სასამართლოში მეორე საჩივრის ფურცელიც აფრინა, „რივერ პლეიტში" გაყიდული სელსო აიალას სანაცვლოდ გადმორიცხული 203 ათასი დოლარი სწორედ ფედერაციამ ჩაიჯიბა და ჩვენ მშრალზე დაგვტოვაო. აღვნიშნოთ, რომ ერთი თვის წინ კლუბი ფიფას სწორედ ამ საკითხის გამო ედავებოდა, თქვენი კანონების უხეირობის გამო შეგვაწერეს ფულიო.

ყველაზე საინტერესო კი აი, რა უნდა იყოს: „ოლიმპიასა" და ფედერაციას მანამდე 12-ჯერ ჰქონდათ სასამართლოში საქმე სხვადასხვა საკითხებზე და კლუბმა ყველა წააგო.

ამჯერად რას მიაღწევს შურისძიებით გულანთებული ოსვალდო დომინგესი, ვერაფერს გეტყვით, იმას კი მოგახსენებთ, ფიფას რა შეუთვალა: „თქვენ თვალს ხუჭავთ პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციაში გამეფებულ კორუფციასა ფინანსურ მაქინაციებზე. იმის მაგივრად, რომ გამოძიება თავად დაგეწყოთ, ყოვლად უსამართლოდ ცდილობთ ჩვენს დაჩაგვრას."

საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, „ოლიმპია" წაგებათა სერიას გააგრძელებს, რაკილა ფიფასთან მოქიშპეები როგორც ვიცით, მუდამ დაჩაგრულნი რჩებიან და არა აქვს მნიშვნელობა, ვინ მართალია და ვინ მტყუანი.

**ზურაბ რუხაძე**

# ვინ არის მართალი?

## ის ვინც ფიფას მეგობარია



ოლიმპიელთა მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი ნერი პუმპიდო, შესაძლოა, ტოკიოში ვეღარ წავიდეს

### ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

**როზენდალი 2:0 გრონინგენი**

1:0, 2:0 პელემონსი (53, 88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 9 | 7 | 2 | 0 | 25:3 | 23 |
| აიაქსი | 9 | 7 | 2 | 0 | 24:11 | 23 |
| როდა | 10 | 5 | 4 | 1 | 22:12 | 19 |
| ფეიენოორდი | 9 | 5 | 2 | 2 | 24:12 | 17 |
| ბრედა | 9 | 3 | 6 | 0 | 14:7 | 15 |
| ტილბურგი | 9 | 4 | 3 | 2 | 16:12 | 15 |
| ნაიმეგენი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:15 | 14 |
| ვალვაიკი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:18 | 14 |
| ვიტესი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:10 | 12 |
| როზენდალი | 9 | 3 | 2 | 4 | 15:16 | 11 |
| ექსელსიორი | 9 | 3 | 2 | 4 | 14:16 | 11 |
| უტრეხტი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:9 | 10 |
| ალკმაარი | 9 | 3 | 1 | 5 | 15:23 | 10 |
| ტვენტე | 9 | 2 | 3 | 4 | 11:18 | 9 |
| ზვოლე | 8 | 2 | 2 | 4 | 8:15 | 8 |
| ჰერენვენი | 9 | 1 | 3 | 5 | 10:17 | 6 |
| გრააფსხაპი | 9 | 1 | 0 | 8 | 6:25 | 3 |
| გრონინგენი | 9 | 0 | 1 | 8 | 7:21 | 1 |


საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონ-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა. პული. სნუკერი
აქსესუარები
- კია 42 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- კიის თარო 24 GEL
- ცარცი, რეზინი 1.3 GEL
დახმარება საბილიარდოს გახსნისას. კონსულტაცია. გარანტია. შეკეთება
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

იყიდება სასწრაფოდ!
შავი ანტიკვარული
როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო,
მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით.
ფასი შეთანხმებით
ტელ: 22-23-15



# კარნევალის გული რომშია, სული თბილისში

## ვაცხონე კარლო მაცონე, ხბოს მწვადი და სპაგეტი

*ოთხი წელიწადია, იტალიელი ჯანი კარნევალი სამშობლოდან საქართველოში გადმობარგდა. ჯერ მოულოდნელად „ბათუმის" თავკაცად მოგვევლინა, მერე კი დედაქალაქურ „ვიტ ჯორჯიაში" მიაგნო თავის სარბიელს. ორი წელიწადია, სინიორ ჯანი ვეტერინარებთან შეხმატკბილებულად მუშაობს, გუნდიც უკან მორჩილად მიჰყვება და ჯერჯერობით შედეგიც დამაკმაყოფილებელი აქვს.*

*ამ ოთხ წელიწადში კარნევალიც, როგორც მწვრთნელი, გაიზარდა და დალვინდა. ბევრი უცხოელისგან განსხვავებით, ის ქართულ მენტალიტეტს არ უჩივის. შეისისხლხორცა ჩვენებური ჩვევები. მუდამ თავაზიანი და კომუნიკაბელურია, ჯერ არ გვახსოვს შემთხვევა, ჟურნალისტს დამდურებოდეს და ზურგი შეექციოს. დღეს მისი გაწვრთნილი „ვიტ ჯორჯია" ერთ-ერთი საუკეთესოა ეროვნულ ჩემპიონატში, ფეხბურთსაც გამორჩეულს თამაშობს, რაც უპირველესად იტალიელის დამსახურებაა.*

*გუშინ კარნევალის კლუბის ოფისში საინტერვიუედ ვეწვიეთ. მანაც გული გადაგვიშალა, გვესაუბრა თავის წარსულზე, ოჯახზე, იტალიელების და ქართველების მსგავსებაზე.*

**— სინიორ ჯანი, თბილისში ხომ არ მოიწყინეთ?**

— არა, აქ თავს კარგად ვგრძნობ. საქართველოში პირადი პრობლემებისთვის არ მცალია. თბილისში მხოლოდ ფეხბურთია ჩემი საფიქრალი და სატკივარი. თითქმის მთელი დრო ამას მიაქვს. პრობლემები კი იტალიაში დარჩა. შინ მქონდა ცოტაოდენი სანერვიულო, თანაც ჩვენთან მოზრდილი მიწისძვრის შედეგად ჩემი და დაზარალდა, რაც ძალიან განვიცადე.

**— აქაური პირობებით თუ ხართ კმაყოფილი?**

— პირობებზე ნამდვილად არ დავიწუწუნებ. კლუბში ჩინებული ვითარებაა, ახლო, მეგობრული ურთიერთობები მაკავშირებს პრეზიდენტთან და დირექტორატის წევრებთან. ფეხბურთელებს ჩემი ესმით და ყველაფერს გაგებით ეკიდებიან. გუნდში 29 მოთამაშე მყავს, მოედანზე კი მხოლოდ თერთმეტისთვის არის ადგილი. მიუხედავად ასეთი კონკურენციისა, უკმაყოფილება არავისთვის შემინიშნავს.

ყველაფერი იდეალურად როდია. რა თქმა უნდა, თავისი წილი საფიქრალი „ვიტ ჯორჯიასაც" აქვს. გუნდს ბაზა სჭირდება. ჩინებული იქნებოდა, არ ქრებოდეს შუქი, მუდმივად იყოს გაზი. თუმცა ეს საერთო პრობლემაა და მჯერა, ნელ-ნელა ესეც გამოსწორდება.

**— ოთხი წელიწადია, ჩვენს თვალწინ ტრიალებთ, მაგრამ თქვენს წარსულზე ბევრიც არაფერი ვიცით.**

— 17 წლისა უკვე „ლაციოში" ვთამაშობდი. მერე იყო „სამბენედეტეზე", „ჩეზენა", „ასკოლი", სადაც კარლო მაცონე მწვრთნიდა. რაც ვიცი, მისგან მისწავლია. შემდეგ „რეჯანაში" გაგრძელდა ჩემი კარიერა და იქიდან რიმინის გუნდში გადავედი. ამ პერიოდში მამა გარდამეცვალა, დედაჩემს პრობლემები ჰქონდა და შინ დავბრუნდი. თავის დროზე კაპელოს წინააღმდეგ მიბურთავია და მისთვის გოლი გამიტანია. თამაშს თავი 30 წლისამ დავანებე, მარცხენა ფეხი ერთდროულად ორ ადგილზე მოვიტეხე და ბუცები კედელზე დავკიდე. მას აქეთ ცხოვრებამ თავისი გზით მატარა. დღეს კი, 55 წლისა, საქართველოში ვმუშაობ და ეს ძალიან მსიამოვნებს.

**— სამშობლო და ოჯახი მოგენატრებოდათ.**

— ექვსი თვეა, შვილები არ მინახავს. ოთხი ბიჭი და ერთი ქალიშვილი მყავს. განსაკუთრებით ჩემი გოგო, 13 წლის კიარა მენატრება. ადრე ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები ჰქონდა, გული აწუხებდა და ოპერაციაც დასჭირდა. ახლა თავს კარგად გრძნობს, მაღალი გოგო დადგა, ძალიან ლამაზი. მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს დავშორდით, თუმც დღემდე ნორმალური ურთიერთობები გვაკავშირებს. დეკემბერში ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდება თუ არა, იტალიაში წავალ და არდადეგებს ოჯახთან ერთად გავატარებ.

**— თბილისში თავისუფალი დრო თუ გრჩებათ?**

— ძალიან ცოტა. სამუშაო დღე დილით კლუბის ოფისში იწყება. მერე ვარჯიშია, თუ მოხერხდა, სხვა გუნდების თამაშებზე დავდივარ. დაბალი ლიგის მატჩებსაც ვესწრები. დღის ბოლოს ოფისში ვბრუნდები და საღამოს შინ მივდივარ. თავისუფალი დრო რომ გამომიჩნდება, ისევ ვიტელებთან ვატარებ. ზოგჯერ ჩემს იტალიელ მეგობარს გავუვლი და ჩვენებურ პიცერიაში მივდივართ, ნამდვილი იტალიური კერძების გასასინჯად. ვაჟა ფშაველას დასაწყისში მდებარეობს, შეგიძლიათ, იქ ნაღდი იტალიური სპაგეტი მიირთვათ. ჩემი მეგობარი ჯიჯი ხუთი წელიწადია, აქ ცხოვრობს, ქართველი მეუღლე ჰყავს, ქალბატონი გვანცა ჩინებული ადამიანია.

**— საქართველოში ყოფნის ოთხი წლის თავზე ალბათ, ქართული კერძებიც დააგემოვნეთ.**

— მე სულაც არ ვარ პრეტენზიული კაცი. იმითაც ვკმაყოფილდები, რაც მაცივარში მაქვს. საღამოს ჭიქა რძე და ფუნთუშა შემიძლია, ვიკმარო.

აქ საუბარში კარნევალის თანაშემწე ზურაბ ბერიძე ჩაერია. ჯანის განსაკუთრებით ხბოს მწვადი მოსწონს, სულგუნი და სხვადასხვა სალათები უყვარს. დასალევსაც არ ეტანება. თევზზე ცოტაოდენ წითელ ღვინოს თუ დააყოლებს, მწვადზე კი თეთრს ამჯობინებსო.

**— თავად თუ ამზადებთ რაიმე კერძს?**

— ხშირად ვტრიალებ სამზარეულოშიო, რომ გითხრათ, ტყუილი გამომივა. საჭმლის მოსამზადებლად დრო იშვიათად მრჩება, მაგრამ რაღაცეები მეც მეხერხება და საკმაოდ გემრიელიც გამომსვლია.

**— რას ფიქრობთ უცხოელებისგან დაწუნებულ ქართულ მენტალიტეტზე?**

— გარკვეულ სირთულეებს მეც გადავწყდომივარ, მაგრამ განსაკუთრებულს და აუტანელს არა. სხვათა შორის, ბოლო დროს ვაკვირდები და ვხედავ, რომ ნელ-ნელა ევროპულს უახლოვდებით. ისიცაა, უცხო კაცი რომ უცხო ქვეყანაში ჩადიხარ, შენც გარკვეულწილად უნდა მოერგო დამხვედრთა ცხოვრების წესს და ჩვევებს. არ უნდა იძახო, მე კარგი ვარ, თქვენ ცუდებიო. არ ვიცი, ვისთვის როგორ, მაგრამ ქართული მენტალიტეტი ჯანი კარნევალისთვის პრობლემა არასდროს ყოფილა.

**— იტალიას და საქართველოს ხომ არ შეადარებდით?**

— ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო. იტალიელთა და ქართველთა ხასიათების მსგავსებაზე ხშირად მსმენოდა. აქ თავს ისე ვგრძნობ, თითქოს შინ ვიყო. კეთილი, სტუმართმოყვარე ხალხი ხართ.

**— ქართული ფეხბურთის უმთავრეს პრობლემად რა მიგაჩნიათ?**

— ქართველი ფეხბურთელები ნიჭიერები არიან. მათ ძალუძთ, ევროპულ დონეს გაუთანაბრდნენ. თქვენი მომავლის მჯერა და ამისთვის დროა საჭირო. ამდენი ყოფითი პრობლემის ფონზე საფეხბურთო დონე კიდევ არა უშავს. თანაც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი ხომ სულ რაღაც 12 წელიწადს ითვლის მაშინ, როცა ევროპული თითქმის საუკუნეს უკაკუნებს. მჯერა, ჩვენი ნაკრებიც მალე აასრულებს ქომაგთა ნატვრას (კარნევალის გაეცინა, საქართველოს ეროვნული ნაკრები უნებლიედ თავისად რომ მოიხსენია).

**— „ვიტ ჯორჯიას" რეალურად რისი მიღწევა ძალუძს?**

— თავდაპირველი მიზანი საპრიზო ექვსეულში მოხვედრა იყო და მგონია, ჩვენ ამას მივაღწიეთ. მეორე ეტაპისთვის კარგად მოვემზადებით და უეფას თასის საგზურისთვის ვიბრძოლებთ. ისე არავინ გაიგოს, თითქოს „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონობაზე უარს იტყვის. ვნახოთ, თუ შანსი გვექნება, ვეცდებით, გამოვიყენოთ. სადღეისოდ კი ჩვენს კონკურენტად ჯერჯერობით ორ გუნდს მივიჩნევ.

**— სადღეისოდ „ვიტ ჯორჯიას" რა აკლია?**

— ჩვენ ჯერაც არ გვაქვს საკმარისი გამოცდილება. გუნდის საშუალო ასაკი 21 წელია. მართალია, კლუბი ასამდე ფეხბურთელს აერთიანებს, აწყობილია ინფრასტრუქტურა, მაღალ დონეზე მიმდინარეობს სასელექციო სამუშაოები, ფეხბურთელებიც ორი წელიწადია, ერთად თამაშობენ, მაგრამ მიუხედავად შესამჩნევი პროგრესისა, ვფიქრობ, რომ გარკვეული გამოცდილება კიდევ უნდა მივიღოთ.

**— როგორ გგონიათ, „ვიტ ჯორჯიას" სხვა ქართული გუნდებისგან რა გამოარჩევს?**

— ჩემი აზრით, ფიზიკური მომზადება. მე ამ კომპონენტის დახვეწას უდიდეს ყურადღებას ვუთმობ. თუნდაც ამ სეზონში თამაშები წაგვიგია, მაგრამ მერწმუნეთ, არც ერთში ჩემს ბიჭებს დალლა არ უგრძვნიათ. კიდევ, მთავარია დისციპლინა, ვარჯიშზე ყაყანს ნამდვილად ვერ ავიტან. არ გვეშინია ექსპერიმენტებს მივმართოთ და თამაშის განმავლობაში რამდენჯერმე შევცვალოთ ტაქტიკა. არც ერთ მეტოქეს არ ვეპუებით. შემიძლია, სულაც ორი მცველით და ოთხი შემტევით დავუხვდე მეტოქეს. ასეთი სითამამე ფეხბურთელებზეც დადებითად მოქმედებს.

**— თქვენ „რომას" თავგადაკლული ქომაგი ბრძანდებით. უცნაურიც კია, „ლაციოში" ნათამაშები კაცი კაპელოს გუნდს რომ ქომაგობთ.**

— რა ვიცი, როგორ აგიხსნათ. რომი და „რომა" ჩემი გულია, კაპელო კი ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მიმაჩნია. სადაც არ იმუშავა, ყველგან ჩემპიონი გახდა. ფაბიო კიდევ არაერთ ტიტულს მოიმკის.

**— სინიორ ჯანი, კიდევ რამდენ ხანს აპირებთ საქართველოში დარჩენას?**

— გაგდებას ხომ არ მიპირებთ (იცინის). როგორ გითხრათ, მანამდე დავრჩები, სანამ ქართულ ფეხბურთს, „ვიტ ჯორჯიას" დავჭირდები. აქაურობას ძალიან შევეჩვიე, საქართველო მეორე სამშობლოდ მექცა და მინდა, მადლობა ვუთხრა ქართველებს ჩემდამი გულკეთილი დამოკიდებულებისთვის.

**გამუკა ძვანტალიანი**





ჯუზეპე დოსენა

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# ალბანელებმა იტალიელს იტალია არ აპატიეს

### ალბანეთი

ევრო 2004-ის მეთე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეთა მწვრთნელები პანტაპუქტით ტოვებენ თანამდებობებს.

რამდენიმე დღის წინ ირლანდიის ნაკრებიდან წასულ მიკ მაკარტის ახლა ჯუზეპე დოსენა ამოუდგა გვერდში. ალბანეთის ეროვნული გუნდის იტალიელმა თავკაცმა უკვე დაწერა განცხადება და ფეხბურთის ფედერაციასაც აახლა.

ფედერაციის პრეზიდენტი არმანდო დუკა თავიდან არ დაეთანხმა იტალიელ სპეციალისტს და გუნდში დარჩენა სთხოვა, თუმც ცივი უარი მიიღო.

სხვა გზა რომ არ ჰქონდა, დუკამ გადაწყვეტა რჩევა ფიფასთვის ეკითხა. საქმე ისაა, რომ აქამდე არსებული კონტრაქტის თანახმად, ჯუზეპე დოსენას წელიწადში ხელფასის სახით 220 ათასი დოლარი ერგებოდა. ალბანელებსაც აინტერესებთ, რა მოხდებოდა კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში.

ცხადია, ამ საკითხს მოვულება, მაგრამ მანამდე დოსენას გადაწყვეტილების მიზეზზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. აპენინელის თქმით, მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჟურნალისტებმა „მუშაობისთვის აუტანელი პირობები" შეუქმნეს.

არადა, დოსენას წასვლას უკვე ალბანელი გულშემატკივრებიც მწვავედ ითხოვდნენ. მათი აზრით, დოსენა გუნდს ყურადღებას არ აქცევს და უმეტეს დროს თავის სამშობლოში ატარებს. საბოლოოდ იტალიელმა მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა და ოთხთვიანი მუშაობის შემდეგ ნაკრები დატოვა.

ახლა ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯუზეპე დოსენას შემცვლელზე ფიქრობს და თვალი კვლავ უცხოელი სპეციალისტისკენ უჭირავს, თუმც ალბანელები საპირისპიროს ფიქრობენ. მათი აზრით, ნაკრები ალბანელს უნდა ჩააბარონ.

ასე რომ, გაისად ალბანელი „არწივები" საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელით გაეჯიბრებიან.

ასეა, ცუდი შედეგები უკვე ალბანელებსაც კი ამოუვიდათ ყელში...

**კახა შალამბერიძე**

# ეს ერთიც და მერე ჩვენზე იყოსო

## დისციპლინარებმა დებულება ისევ რიგში ჩააყენეს

გუშინ სადისციპლინო კომიტეტმა კიდევ ერთხელ გამოიტანა ლმობიერი განაჩენი და დებულების უგულებელყოფით ზესტაფონის „მეტალურგს“ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეუნარჩუნა. სიმართლე გითხრათ, გუშინ დისციპლინარები სხვაგვარად ვერც მოიქცეოდნენ. მათ მსგავსი გადაწყვეტილება ერთხელ უკვე გამოიტანეს მაშინ, როცა „მერანი“ შეიწყალეს.

კი მაგრამ, დებულება, კანონი? ის ეროვნული ჩემპიონატის დაწყებიდან ირღვეოდა, ირღვევა და დაირღვევა კიდეც, რადგან ჩვენში თითქმის არ მომხდარა, მსხვილმანი სასჯელი გუნდს, მწვრთნელს ან ფეხბურთელს ბოლომდე მოეხადოს.

„მერანისა“ და „მეტალურგის“ შეწყალება იქნებ გამართლებულიც იყო. კლუბის თავკაცთა უთავბოლობა ქომაგის და ფეხბურთელის ზურგზე არ უნდა გადადიოდეს. ორივე გუნდს თავისი კვალი დაუტოვებია დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში და, ალბათ, ამადაც ვერ გაიმეტეს გასაწირად. თუმც ისიც საკითხავია, სანამდე უნდა გაგრძელდეს ეს უკანონობა?

სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა გუშინვე საჯაროდ განაცხადეს, ეს ჩვენი ბოლო ლოიალური განაჩენია, ამიერიდან, ვინც არ უნდა იყოს, საკადრისად ვაზღვევინებთო. ნამდვილად მისასალმებელი გადაწყვეტილებაა, მაგრამ მკაცრად და კანონის მიხედვით დასჯილმა ძველი „ცოდვები“ რომ შეახსენოს დისციპლინარებს და სამართალის, თანასწორუფლებიანობის სახიებლად ქვეყანა შეაწუხოს, გასაკვირი არ იქნება.

ვიდრე უშუალოდ ზესტაფონელთა საქმეს დავუბრუნდებოდეთ, მანამ დებულებაზეც რომ ვთქვათ ორიოდ სიტყვა, უპრიანი იქნება. არსებული რეგლამენტის გადამკიდე თავად ფედერაცია, სადისციპლინო კომიტეტიც ხშირად ჩავარდნილა უხერხულ ვითარებაში და განაჩენის გამოტანა გაჭირვებია. ყოფილა შემთხვევები, ჩვენს ჩემპიონატში უცნაურ ამბებს აბა, რა გამოლევს, როცა დებულებაში წერია რა არ შეიძლება, ხოლო როგორ ისჯება დანაშაული, რეგლამენტში თვალს ვერ მოჰკრავთ. ამიტომ, ვფიქრობთ, ფედერაციას წესდების შეცვლასთან ერთად დებულების გვარიანად დახვეწაც მართებს.

ახლა ზესტაფონელებსაც მივხედოთ. ავჭალელთა დარად, მათაც წარმოადგინეს საგარანტიო წერილები, რომ „მეტალურგი“ მომდევნო ტურებში ითამაშებს. პრობლემა არ იქნება გუნდის გასვლით მატჩებზე გამგზავრება და გამოკვება, ხოლო ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი ხელმძღვანელების უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ ფინანსური პრობლემებიც საბოლოოდ მოგვარდებაო. ქალაქის თავკაცები აჯანყებულ ფეხბურთელებსაც დალაპარაკებიან და წაყენებულ პირობაზე დასტურიც მიუღიათ.

„მეტალურგს“ ქუთაისში გამოუცხადებლობისთვის 0:3 წაგება ჩაეთვალა, ხოლო ჩემპიონატში პირობითად დატოვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეორეჯერ „მეტალურგს“ მოწყალე თვალით არავინ შეხედავს.

სადისციპლინო კომიტეტმა ზესტაფონელთა გარდა სამი წვრილი საქმეც გაარჩია. გორის „დილა 2“ ასპინძაში სათამაშოდ ვერ ჩასულა. გზად მიმავალს ხაშურში ავტობუსი გაგვიფუჭდაო, ამბობდნენ ქართლელები. გასაკვირი კი ის იყო, ამ საქმის გარჩევამ დისციპლინარებში აზრთა სხვადასხვაობა და კამათი რომ გამოიწვია. გათამაშებიდან მოვხსნათო, ერთი პირობა ესეც თქვეს, მაგრამ მერე გორელებს 0:3 წაგება და პირობითი სასჯელი აკმარეს.

ბოლნისში მსაჯმა ზურაბ ანიაშვილმა ორი გაფრთხილების გამო მეტონიძე გააძევა, რაც ერთმატჩიან დისკვალიფიკაციაში და 50-ლარიან ჯარიმაში ჩაეტია.

ოლიმპელ შარიას 3 თამაში და 150 ლარი ჯარიმა გამოუწერეს, ხოლო ალაზნელ თათელაშვილს 4-მატჩიანი სასჯელი და 200 ლარი დააკისრეს.

**მამუკა ძვანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
14
პირველი წრე
12 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გურია 5:2 ალაზანი** | მერცხალი | 12 | 8 | 3 | 1 | 19:5 27 |
| **ლაზიკა 4:1 ქობულეთი** | ლაზიკა | 12 | 7 | 4 | 1 | 25:14 25 |
| **ლოკო 0:3 მერცხალი** | ცხინვალი | 12 | 7 | 3 | 2 | 22:11 24 |
| **თსუ 0:1 დინამო 2** | ივერია | 12 | 6 | 3 | 3 | 17:14 21 |
| **ჭაბუკთა ნაკრები 2:1 მცხეთა** | სამგურალი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:11 20 |
| **ცხინვალი 2:2 ლოკომოტივი 2** | ჭაბუკთა ნაკრები | 12 | 5 | 3 | 4 | 19:13 18 |
| **სამტრედია 0:2 ხობი** | დინამო 2 | 12 | 5 | 2 | 5 | 16:13 17 |
| **სამგურალი 3:1 ივერია** | მცხეთა | 11 | 4 | 4 | 3 | 16:11 16 |
| | თსუ | 12 | 4 | 3 | 5 | 8:10 15 |
| | გურია | 12 | 4 | 3 | 5 | 11:14 15 |
| | ლოკო | 11 | 4 | 2 | 5 | 10:15 14 |
| | ქობულეთი | 12 | 4 | 1 | 7 | 7:15 13 |
| | სამტრედია | 12 | 3 | 2 | 7 | 10:18 11 |
| | ლოკომოტივი 2 | 10 | 2 | 5 | 3 | 9:8 11 |
| | ხობი | 12 | 1 | 3 | 8 | 7:19 6 |
| | ალაზანი | 12 | 0 | 4 | 8 | 8:29 4 |




**იყიდება**

მუხიანში კინო-თეატრის შენობა ეზოთი.
შენობის ფართი 1000 მ², ეზო 3500 მ²
ალ. გობრონიძის ქუჩა №10
☎ 34 38 12,
899 16 08 37


# მენთეშაშვილს შანსი [illegible] წაართვა



ზურაბ მენთეშაშვილი

*ლატვიაში სეზონი დამთავრდა და საჩემპიონო ტახტზე ისევ რიგის „სკონტო“ დარჩა. მეორე წელია, „სკონტოს“ ჩამოგდებას „ვენსტპილსი“ ცდილობს, თუმც ამაოდ. შარშანდელის მსგავსად რიგელებმა ახლაც ბოლო ტურში მოიპოვეს ოქროს მედლები. ამ წარმატებაში კი, ცხადია, ქართველთა ხელიც ურევია. ზურაბ მენთეშაშვილიც ერთ-ერთია „სკონტოს“ ქართული ტრიოდან, ვინც ლატვიაში უკვე კარგა ხანია, ბურთაობს და ტიტულებსაც იხვეჭს*

— გილოცავთ ჩემპიონობას.

— გმადლობთ. ჩემპიონობით კი გავიხარე, მაგრამ...

— **მაგრამ?**

— უკვე შევეჩვიე. თუმც კარგია, რომ მიზანს მივაღწიეთ.

— **„ვენსტპილსი“ უკვე მეორე სეზონია, ბოლო ტურში კარგავს ჩემპიონობას. „სკონტოც“ თითქოს ჩასაფრებულია...**

— ჩემი აზრით, „ვენსტპილსი“ ჩემპიონობის ღირსი არ არის. ეს გუნდი უბრალოდ არ იმსახურებს ამას. არ შეიძლება მეორედ დაუშვა იგივე შეცდომა, რამაც შარშან „დაგღუპა“. ჩვენ კი ჩვენი საქმე გავაკეთეთ. თამაში მოვიგეთ და ჩემპიონებიც გავხდით.

— **როგორი იყო ეს სეზონი შენთვის?**

— ვფიქრობ, წარუმატებელი. ძალიან ბევრი ტრავმა მივიღე და დიდი დრო გამიცდა. მართალია, გუნდმა წარმატებას მიაღწია, მაგრამ ჩემთვის მაინც უიღბლო სეზონი იყო.

— **როგორ ფიქრობ, როგორც ფეხბურთელი ლატვიაში კიდევ გაიზრდები?**

— არა. აქ უკვე ამოვწურე ჩემი შესაძლებლობები. მეტს ალბათ ველარ მოვუმატებ.

— **სხვა გუნდში გადასვლას არ აპირებ?**

— არა. სამწუხაროდ, ჯერ ასეთი შანსი არ მაქვს. წინადადებებიც არ მიმიღია, თუმც ამაში გასაკვირიც არაფერია. ხომ გითხარით, სეზონი ფაქტობრივად გამიცდა.

— **„სკონტოსთან“ კონტრაქტი როდემდე გაქვს?**

— კიდევ ორი წელი „სკონტოს“ ვეკუთვნი.

— **ესე იგი, „სკონტოში“ რჩები?**

— ასე გამოდის. ჯერჯერობით არსად წასვლას არ ვაპირებ.

— **შვებულება უკვე მოგცეს?**

— 23-ში გაგვათავისუფლებენ, მერე კი ახალი სეზონისთვის მზადებას დავიწყებთ.

**კახა ზალამბერიძე**

# შტელინმა გადაწყვიტა: ძოძუაშვილი ტორპედოში

**ხმა დაირხა**, ახალგაზრდა ქუთაისელი ფეხბურთელი მერაბ ძოძუაშვილი მშობლიურ ქალაქში აპირებს დაბრუნებასო — ცხადია, საქართველოს ჩემპიონ „ტორპედოში“ სათამაშოდ.

ძოძუაშვილი ახლა გორის „დილაში“ ბურთაობს, თუმც თბილისური „ლოკომოტივის“ საკუთრებაა და ქართლელებსაც იჯარის წესით ჰყავთ ნათხოვარი.

მერაბს „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ შტელინისთვის მოუწონებია თავი „დილა“ — „ტორპედოს“ ამასწინდელი მატჩისას.

„სარბიელიც“ ვითარების გასარკვევად გუშინ „ტორპედოს“ მწვრთნელ სოსო ფრუიძეს დაუკავშირდა, ალექსანდრ შტელინის თანაშემწემაც ეს გვითხრა:

„გადაწყვეტილი არაფერია, თუმც სურვილი გვაქვს, მერაბ ძოძუაშვილმა „ტორპედოში“ ითამაშოს. ჩემპიონატის მეორე წრისთვის 3-4 ფეხბურთელის დამატებას ვაპირებთ, ერთ-ერთი მათ შორის სწორედ ძოძუაშვილია. მან ალექსანდრ შტელინსაც მოაწონა თავი.“

ფრუიძემ ჩვენთან საუბრისას ისიც დასძინა, შესაძლოა, უცხოელი ლეგიონერი კიდევ მოვიწვიოთ, „ტორპედო“ ჩემპიონობის დათმობას არ აპირებს და უეჭველად გავძლიერდებითო:

— ფეხბურთელებს ვარჩევთ, თუმც მათი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ. უფლება არ მაქვს, კონფიდენციალური საკითხია.



მერაბ ძოძუაშვილი ქუთაისის „ტორპედომ“ დაპატიჟა

**გიორგი გაჩაძიძე**

# სოსო ფილია: დავიღალე, სამეულში მინდა!

**ფოთის** „კოლხეთის“ მწვრთნელი სოსო ფილია გახარებულია, გუნდში მატებაარ. კობა წიტაიშვილმა და გიორგი კრასოვსკიმ ტრავმები მოიშუშეს და უკვე ბურთით ვარჯიშობენ, ვარჯიში განუახლებია ვეტერან მეკარე მამუკა გვასალიას, არადა, მამუკა კარიერის დასრულებას აპირებდა.

„მიხარია, რომ დაგვიბრუნდნენ. გვასალიას ხერხემალი აწუხებდა და ფეხბურთიდან წასვლაც სურდა, მაგრამ ექიმებმა უთხრეს, ოპერაცია არ გჭირდება, სულ ცოტა სეზონის ბოლომდე შეგეძლება თამაშიო. მამუკამაც ვარჯიში განაახლა. რაც შეეხება ძირითად მეკარე სოსო გრიშიკაშვილს, მას სამკურნალოდ კიდევ 10 დღე დასჭირდება, ხელის თითი ჰქონდა მოტეხილი და ტრავმას კვლავაც იწუწუნებს“. გვითხრა გუშინ კოლხთა თავკაცმა სოსო ფილიამ.

„კოლხეთი“ ახლა ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში „ფაზისზე“ ქუთაისის „ტორპედოს“ უმასპინძლებს და ნახევარმცველი გიორგი გაბიდაური არ ეყოლება. მას სამი ყვითელი ბარათი დაუგროვდა და დისკვალიფიცირებულია.

ფილია მოისაკლისებს ახალგაზრდა კვერნაძესაც, რომელსაც ფეხის ნერვის ანთება ჰქონია და ალბათ ათიოდ დღეში მაინც დარჩება უფეხბურთოდ.

„კოლხეთის“ მწვრთნელმა სამომავლო გეგმებზეც გვითხრა ორიოდ სიტყვა: „გადავწყვიტე, გუნდიდან არ მივდივარ. კლუბის პრეზიდენტს ველაპარაკე და სრული მხარდაჭერა აღმითქვა. ახლა ექვსეულისთვის 4 ქულა მაინც გვჭირდება, მერე კი... დავიღალე, აღარ შემიძლია, ამ გუნდში იმიტომ არ ვმუშაობ, რომ „კოლხეთი“ საშუალო კლუბად იქცეს. ჩემი პროგრამა წარვუდგინე ჯემალ ინაიშვილს, გაძლიერება გვესაჭიროება, 5-6 ფეხბურთელს აუცილებლად მოვიწვევ, შერჩეულიც მყავს. უბრალოდ, უფროსობის სიტყვას ველი. ერთი ლეგიონერიც გვეყოლება, იგი ბულგარელია.

როცა გავძლიერდებით, „კოლხეთიც“ სამეულისთვის იბრძოლებს, მე ამის მჯერა, თორემ გუნდში არც კი გავჩერდები, ეს ადგილი მემკვიდრეობით არ მიმიღია“.

**გიორგი გაჩაძიძე**

*ქალთა საჩოგნეთმა გუშინ მძიმე დანაკლისი განიცადა. ანგლობა გვეპატიოს და — ოდინდელმა მსოფლიოს მეპირველე არანჩა სანჩეს-ვიკარიომ მშობლიურ ბარსელონაში გამართულ პრესკონფერენციაზე მწუხარებით გვაუწყა, რომ დიდი ჩოგბურთიდან პირადი ცხოვრების მორევში ეშვება. ეს ამბავი სანჩესთა კუთვნილ ლია სპორტკლუბში მოხდა. როგორც ჩვენი როიტერელი კოლეგა იუწყება, ესპანელთა უდიადესი ქალმეჩოგნე საპრესკონფერენციო ტაბლასთან მიჯდომამდე უციაგესად ღიმილობდა, ნაპრესკონფერენციევს კი მირიადმა ფოტო თუ ტელეობიექტივმა მისი ამაჩუყებლად მოცრემლავე სახე აღბეჭდა. ასეთი ლამაზი და საყვარელი არანჩა ვინძლო არასოდეს გვენახოს — ცრემლი ხომ, როგორც კლასიკოსი იტყოდა, დიაცთა ლოდსატყორცნია...*



# არანჩა მორჩა

## ღრუბლის გადამყრელი ღიმილიანი ესპანელის ცრემლიანი დასასრული

„ამ გადაწყვეტილების მიღება ადვილი სულაც არ იყო — ამბობდა არანჩა — მაგრამ ვფიქრობ, ცხოვრებაში დასტურ დამიდგა ის მომენტი, როცა მთელი ჩემი დრო პირად ცხოვრებას უნდა დავუთმო. დიახ, ჩოგბურთიდან პერსონალური მოტივების გამო მივდივარ. აქამდე ჩემი ცხოვრება მთლიანად სპორტს ეკუთვნოდა და მე არც ცდა დამიკლია და არც ჯიგარი, რათა ყოველთვის სათანადო დონეზე მეთამაშა. სანაცვლოდ მივიღე ყველაფერი ის, რისიც კი სპორტსმენს შეიძლება ეიმედებოდეს — ტრიუმფები, დიდება და სახალხო სიყვარული. ერთადერთი, რაც ახლა მსურს, დასვენება და ნორმალური ცხოვრებაა... არასოდეს დავივიწყებ იმ საარაკო წუთებს, რაც კორტზე განმიცდია. კარიერას ვამთავრებ ღიმილით და დიდი მადლობა ყველას, ვინც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემთან ერთად იყო".

დიდი მადლობა შენ, ამაგდარო ესპანელო ქალო, ვინაც მთელი 17 წლის განმავლობაში მსოფლიოს მილიონობით ყრმისათვის მისაბაძი მაგალითი იყავ. შენს აგრესიულ, დაუღალავ გლეჯუნსა და ჰალალ ნამზიანევ ღიმილს ჩვენც არასოდეს დავივიწყებთ; ეგ მით უფრო, რომ იმედი გვაქვს, მთელ შენს აწინდელ დროს მაინცდამაინც შენს მეგობარ კაცსა და ორ ერთგულ ცუგასთან ერთად არ დახარჯავ და ხანდახან მაინც გამოგვიჩნდები ხოლმე საკორტეთში!

ხოლო ჩვენ, რომ ყელს მობეზრილი ემოციები ოდნავ მაინც დავიოკოთ და საშასმედიო საზღვრებს არ გადავცდეთ, აქვე არანჩას ცხოვრებისა და ღვაწლის რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს მოვიგონებთ. მე თქვენ გეტყვით და, ან სათქმელი შემოგვეცვეთა, ან ჩამოსათვლელი.

დავიწყოთ იმით, რომ მომავალი დიდი ჩემპიონი 1971 წლის 18 დეკემბერს დაიბადა. პროფესიულ ჩოგბურთში 1985 წლის ივნისიდან იმოღვაწევა, ხოლო პირველი ტიტული 1988 წელს, ბელგიის ღია პირველობაზე 16 წლისა და 11 თვისამ მოირეწა. მისი სასლემო დებიუტი 1987-ში შედგა, როცა 15 წლისა და 7 თვის გოგოცუნამ როლან გაროსის მეოთხედფინალს უწია. იქვე მოიხვეჭა პირველი სლემტიტულიც — 1989 წლის ფინალში შტეფი გრაფს მოუგო და პირველი ესპანელი ქალი გახდა, ვისაც კი ოდესმე საფრანგეთის ღია პირველობაზე ემარჯვა. მაშინ ის მხოლოდ 17 წლისა და 6 თვის იყო — ასე ჭაბუკი მანამდე როლან გაროსზე არასოდეს გაპირველებულა.

მას შემდეგ პარიზული სეფეთიხნარი მან კიდევ ორჯერ — 1994 და 1998 წლებში აოხრა, ხოლო ერთხელ, 1994-ში ამერიკის ღია პირველობაც დაიწარჩუნა. 1995 წლის 6 თებერვალს არანჩა ქალთა რეიტინგსიის სათავეში მოექცა. იმ წელს სლემტიტული არ მოუხვეჭია, მაგრამ სამჯერ სასლემო ფინალში გავიდა. 4-გზის მესლემტიტულეს სლემმარავის გაზრდა კიდევ რვაჯერ შეეძლო, მაგრამ ძლავრმა კონკურენტებმა, რომელთა შორისაც განსაკუთრებით შტეფი გრაფი მძვინვარებდა, ამის გაკეთება არც ერთხელ არ დაანებეს.

სულ არანჩას 29 საერთეული და 67 საწყვილო ტიტული მოუნაგრავს. თვისტომებთან ერთად 5-ჯერ მოიგო ფედერაციის თასი — კაცთა დევისის თასის ერთგვარი მარჩბივი. მასვე ეკუთვნის მრავალი საფედთასო რეკორდიც — ყველაზე მეტი მატჩი (100), ყველაზე მეტი გამარჯვება (772), ყველაზე მეტ ეტაპსა (58) და ყველაზე მეტ ფინალში (10 — კონჩიტა მარტინესთან საზიარო) მონაწილეობა.

სხვათა შორის, მისი მე-100 საფედთასო შეხვედრა მისი კარიერის უკანასკნელი შეხლა გამოდგა და რაოდენ სამწუხაროა, რომ მუხლის ტრავმამ ღვაწლმოსილ ქალს სწორედ მაშინ უმუხთლა, როცა მას — წარმატების შემთხვევაში — მეექვსედ გაჩემპიონების შანსი ჰქონდა. ეს კანარის კუნძულებზე [illegible] დაც ესპანელები სლოვაკეთს [illegible] მასპინძლობდნენ და გადამწყვეტ მატჩში არანჩამ ჟანეტ ჰუსაროვასთან დათმო — 0:6, 2:6. სლოვაკებმა 3:1 იმარჯვეს.

სხვათრივ — არანჩას აქტივში 4 ოლიმპიადაზე მოპოვებული 4 რაგინდარა მედალიც ირიცხება.

გაუტეხლობის, მოუღლელობის, სიკისკასისა და ციბრუტჩოგნაობის გამო არანჩას „ბარსელონური კრაზანა" შეარქვეს. ამ კრაზანის ნესტარი თავ-თავის დროზე მრავალმა სახელიანმა მეჩოგნემ იწვნია.

შტეფი გრაფი: „როცა მასზე ვფიქრობ, აურაცხელი საუცხოო მატჩი მახსენდება. მან იმდენი რამ შესძინა ჩოგბურთს — ურყევი ნება, გაუბზარავი ხასიათი და, რაც თითქოს ყოველთვის თან გახლავს, თავისი ღრუბლის გადამყრელი ღიმილი".

დიდი ქალის დიდი კორტიდან წასვლას შანხაიში მოპაექრე ესპანური არმადაც შეეხმიანა.

ალ კოსტა: „ეს საოცრად ნაღვლიანი დღეა. ის მართლაც დიადი მოთამაშე იყო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ უყვართ ის ესპანეთში. ის იქ ძალიან, ძალიან დაფასებულია. ამ ოთხიოდე წლის წინ მას ქვეყნის უმაღლესი სპორტული ჯილდო, „პრინსიპე დე ასტურიასიც" ებოძა... ის წავიდა, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ წავიდა 100 პროცენტით დახარჯული, ისე, რომ თავისთვის ერთი საჩოგბურთო მისხალიც არ დაუტოვებია".

კარლოს მოია: „ესპანური ჩოგბურთის ისტორიაში ის ყველაზე დიადი მოთამაშე გახლდათ. მან ყოველგვარი დიდება დაიმსახურა და მისი წასვლა აუნაზღაურებელი იქნება თამაშისთვის".

როგორც ქვეყნის საჩოგბურთო ფედერაციის პრეზიდენტმა, აგუსტი პუიოლმა განაცხადა, ის აუცილებლად შესთავაზებს არანჩას საფედთასო გუნდის კაპიტნობას. მაგრამ არანჩა არ ჩქარობს — წინ ჯერ გამოსამშვიდობებელი შეხვედრაა, მერე კი ახალი საზრუნავითა და უჩვეულო პრობლემებით აღვსილი საოჯახო ცხოვრება.

ცხოვრება, რომელმაც მას მორიგი, ოღონდ უკვე დასტურ ქალური ტრიუმფები უნდა მოუტანოს.

**ლევან ძელაურაძე**

---

MASTERS CUP შანხაი. საპრიზო 3.7 მილიონი $

# აგასი დაძმარდა

## ფონს პირველი მოია გავიდა

### წითელი ჯგუფი

**კარლოს მოია (5, ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) 6:4, 7:5**

კაცთა ამქრის 21 წლის უსტაბაშ ლეიტონ ჰიუიტს კარლოს მოიასთან პირად დაპირისპირებაში აქამდეც უარყოფითი ბალანსი (2:4) ჰქონდა, ხოლო ნაამატჩევს უკვე თამამად შეგვიძლია ჭაბუკი ოზითვის საბედისწერო მეჩოგნეზე ვისაუბროთ. ამ მეჩოგნემ, წლეულს თავისი 58-ე მატჩი რომ მოიგო (მაშინ, როცა მხოლოდ 20 წააგია) და შანხაიში საოცრად გაწონასწორებულ, ნატიფ და ლონიერ თამაშს აჩვენებს, შესანიშნავი რვეულიდან პირველმა გააღწია ნახევარფინალში. მასტერთასის გადამწყვეტ მატჩში ის ოთხი წლის წინაც გარეკილა, ოღონდ მაშინ 5-სეტიანი ჭიდილის შემდეგ თვისტომ ალექს კორეჯას დანებდა.

რაც შეეხება ჰიუიტს, რომლის საამსეზონო ჭირნახულიც (14 მარცხთან ერთად) 58 მოგებასა და მოიასდარადვე 4 ტიტულს მოიცავს, გუშინ უჩვეულოდ განწირული ჩანდა. ამ განწირულების შედეგი ის იყო, რომ ჭაბუკმა ოზზიჭმა ანდრე აგასისთან ფარულ ჭიდილში უარესად გამოსადეგი მორიგი 20 ქულა მოისაკლისა. ამ მატჩამდე ის 32 წლის ამერიკელს 108 ქულით კი უსწრებდა, მაგრამ უსათუო პირველობის გარანტია ეს მაინც არ არის. იქნებ გახსოვდეთ, თითოეული ჯგუფური გამარჯვება 20 ქულად ფასობს, ნახევარფინალი — 40-ად, ხოლო ფინალში ნახერგი 50 ქულით ჯილდოვდება.

ლეიტონს მხოლოდ ის თუ ანუგეშებდა, რომ იმ დღეს თავად ბებერმა ანდრანიკმაც წაიფორხილა.

პო, მართლა — 19 ნოემბერს ერთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც რომ ჰიუიტი 12-თვიან „მეოცავ რეიტინგსიაში" გაპირველდა. თუკი 19-მდე ის კვლავაც პირველ ადგილზე მიატანს — და ეს ალბათ დასტურ ამბად მოსჩანს — მაშინ მეოთხე კაცი გახდება, ვისაც სრული ერთი წლის განმავლობაში, თუნდაც კვირის ჩაუგდებლად, სეფესაფეხურის შენარჩუნება მოუხერხებია.

და კიდევ — ეს ბიჭი შარშანდელი, სიდნეიში გამართული მასტერსთასის ჩემპიონია.

**ალბერტ კოსტა (8, ესპანეთი) — მარატ საფინი (3, რუსეთი) 3:6, 6:4, 6:3**

მარატ საფინის სამასტერსთასო შანსებს გუშინ იანძის წყალი შეუდგა. მართალია, თეორიულად მას ჯერ კიდევ ძალუძს, შანხაიში შეკრებილ ზეპურ მეჩოგნეებს სატიტულოდ გაედავოს, მაგრამ მისი უნდილი, აჭრილი და ზოზინა თამაშის შემხედვარე ამ ამბისა ვინძლო ყველაზე ძჯერმორდა სკეპტიკოსაც ალარ სჯეროდეს.

თუმცა პოლიტიკური ობერტონები იქით იყოს. ფაქტი ისაა, რომ მოგებული პირველი სეტის შემდეგ საფინმა ყველაფერი გააწყო ტრადიციულად ხანგრძლივად, აქით-იქით შესაშური სიჯიუტით მობრახუნე კოსტას წინააღმდეგ, სკეთმუხლიმს მესამე სეტში გამომჟღავნებულმა „თბილისურმა სინდრომმაც" ვერ უშველა, როცა დარბაზში ანაზდეულად ჩამობნელდა და მოთამაშეებს გაყუჩებისა და ვითარების ღინჯად გაანალიზების საშუალება მიეცათ.

კოსტა: „პირდაპირ გეტყვით — დღეს ძალიან მაგრად ვითამაშე ჩემთვის ამის კეთება ალბათ უფრო ადვილია, ვიდრე აქ მყოფი სხვა ბიჭებისთვის. მე ხომ წლეულს მათზე მეტი გამოვტოვე და ამიტომაც ახლა უფრო მეტი ჯანი მაქვს, ვიდრე მათ. შეიძლება, ნაკლებ თავდაჯერებული ვარ, მაგრამ — აშკარად უფრო ნასვენი. გეხსომებათ, ზურგის ტრავმის გამო ბევრ ტურნირზე გამოსვლა ვერ შევძელი და არცთუ რომელიმე ჭერქვეშა ტიტული მრგებია. მაგრამ აქაური მაგარისფარი ჩემთვის მაინც სახარბიელოა".

საფინი: „თავიდან ყველაფერი კარგად იყო — კარგადაც ვაწვდიდი და საჭეც რიგიანად მიდიოდა. მაგრამ მერე მან მატჩის სადავეები უკუაპყრა და თამაშგარე დამტოვა. მეკანახაზეებთან მიჭირს, მით უფრო, თუკი ოდნავ მოჩვარული ვარ და სისხარტე მაკლია".

შეგახსენებთ, რომ 22 წლის საფინი და წლევანდელი მეროლანგაროსე, 27 წლის ალ კოსტა აქამდე ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შეხვედრიდნენ და ის მატჩი რუსის გამარჯვებით დასრულებულიყო. საფინმა წლეულს 54 მატჩი მოიგო, 23 წააგო და ერთი ტიტული მიითვალა. კოსტას საწლევანდელო ტიტული უკვე ვახსენეთ. სხვაფრივ მან ამ სეზონში 11 მარცხის წილ 37-ჯერ იმარჯვა და ზედაც ერთ ეშხიან გოგოზე იჯვარწერა.

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლოს მოია | 2-0 | 4-0 | 26-18 |
| ალბერტ კოსტა | 1-1 | 3-3 | 26-29 |
| ლეიტონ ჰიუიტი | 1-1 | 2-3 | 25-24 |
| მარატ საფინი | 0-2 | 1-4 | 22-28 |

### ოქროს ჯგუფი

**ირჟი ნოვაკი (7, ჩეხეთი) — ანდრე აგასი (2, აშშ) 7:5, 6:1**

27 წლის ირჟი ნოვაკი წლის საგვირისტო ტურნირში ისე მოხვდა, სეზონის მსვლელობისას ერთი ქეციანი ტიტულიც არ მოუხვეჭია. სანაცვლოდ მთელი სეზონი სტაბილურად ითოგნავა და, თუმც 24-ჯერ დამარცხდა, მაგრამ 52-ჯერ იმარჯვა კიდეც. ანდრე აგასის მონაგარი უფრო შთამბეჭდავია — 5 ტიტული და საუცხოო, ასაკისთვის უჩვეულოდ ნოყიერი ბალანსი: 53 მოგება 10 მარცხის საპირწონედ. ამას ისიც დაურთეთ, რომ ნოვაკთან აქამომდე ნათამაშებ 4 მატჩში მას ოთხჯერვე გაულახა და საგუშინდელო პაექრობის შედეგსაც, აჰა, რა გამოსცნობა სჭირდებოდა.

ამ ვერ მოგვერთვა ამგვარი არითმეტიკით ალჭურვილთ. უკანასკნელ თვეებში ბაგეთუკუმულად, მძლებითა და შეუმდრკლად მოჩოგნავე ჩეხმა მისსწორად თამაში აგასის მხოლოდ პირველ სეტში დაანება, მერე კი ჩოგნის ქვეშ გაიდო და ისე უბრახუნა, ათას კორტზე ნაფელარ ლეგენდას კარგა ხანი რომ არ მოხვედრია.

აგასი: „ბურთს ჩინებულად წარმართავდა და მის წინააღმდეგ ვერაფერი გავახერხე. ორი ვარიანტია — ან ახერხებ შეგუებას და ერევი, ან ვერ ახერხებ ამას და შინ დაძმარებულ ხასიათზე მიდიხარ. დღეს ეს ვერ მოვახერხე და ამიტომაც ახლა დაძმარებული ვარ. მაგრამ უცნაურობა იცით, რა არის? როცა ვაგებ ხოლმე, ვიცი, რომ ტურნირიდან გავარდნა დავიმსახურე და შინ ამ შეგნებით ვბრუნდები. დღეს კი ყველაფერი სხვანაირადაა. წავაგე, მაგრამ ნაამარცხევს გადაწყობა და უკვე ხვალინდელ მატჩზე ფიქრი მიწევს. ეს კი ჩემთვის ადვილი რამე სულაც არ არის".

სხვაფრივ კი გეტყვით, რომ ეს 7-გზის მესლემტიტულე გენიოსი სულ პირველი მასტერსთასის გამარჯვებულია. ვებ ვინმეს მაავიწყდა და ეგ სახელოვანი ამბავი 1990 წელს მოხდა.

| | | | |
|---|---|---|---|
| ირჟი ნოვაკი | 1-0 | 2-0 | 13-6 |
| როჯერ ფედერერი | 1-0 | 2-0 | 12-7 |
| ხუან ფერერო | 0-1 | 0-2 | 7-12 |
| ანდრე აგასი | 0-1 | 0-2 | 6-13 |





REUTERS

კარლოს მოიამ ლეიტონ ჰიუიტს მარცხი არ აკმარა და დასცინა კიდეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 002 | კოტბუსი-არმინია | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 18.30 | 003 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 18.30 | 004 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 005 | ბაიერნი-ვოლფსბურგი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 18.30 | 006 | ჰანოვერი-ჰერტა | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 18.30 | 007 | ჰანზა-შტუტგარტი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 18.30 | 008 | ლევერკუზენი-გლადბახი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 18.30 | 009 | დორტმუნდი-მიუნხენი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 010 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 20.30 | 011 | ბოხუმი-შალკე | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 012 | უნიონი-აინტრახტი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 22.00 | 013 | ბრაუნშვაიგი-ალენი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 22.00 | 014 | მაინცი-ალემანია | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 015 | ფრაიბურგი-ფიურტი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 18.00 | 016 | როიტლინგენი-ბურგჰაუზენი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 18.00 | 017 | ობერჰაუზენი-კარლსრუე | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 18.00 | 018 | ვალდჰოფი-დუისბურგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 18.00 | 019 | ტრიერი-ლიუბეკი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 020 | სტ.პაული-კიოლნი | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 022 | ესენი-ვერდერი(მ) | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 023 | ქემნიცი-კიოლნი(მ) | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 17.00 | 024 | დრეზდენი-ლევერკუზენი(მ) | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 17.00 | 025 | ჰამბურგი(მ)-ურდინგენი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 026 | კილი-ოსნაბრიუკი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.00 | 027 | მიუნსტერი-დინამო | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 17.00 | 028 | ფერლი-პადერბორნი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 17.00 | 029 | ვატენშაიდი-ბაბელსბერგი | 1,75 | 3,2 | 4,4 | 1,13 | 1,25 | 1,85 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 030 | დორტმუნდი(მ)-აუე | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 031 | ჰოფენჰაიმი-აინტრახტი(მ) | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 22.30 | 032 | ოფენბახი-ფიულენდორფი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 033 | ნოინკირხენი-ერფურტი | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |
| 17.30 | 034 | რეგენსბურგი-დარმშტადტი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 17.30 | 035 | ვეენი-აუგსბურგი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 17.30 | 036 | აალენი-შვაინფურტი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 037 | კაიზერსლაუტერნი(მ)-ზიგენი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 18.00 | 038 | ბაიერნი(მ)-ზაარბრიუკენი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 18.00 | 039 | უნტერჰახინგი-ელვერსბერგი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 040 | უნტერჰახინგი-ელვერსბერგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 041 | არსენალი-ტოტენჰემი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 042 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 043 | სიტი-ჩარლტონი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 044 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 045 | ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 046 | ლივერპული-სანდერლენდი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 047 | ლივერპული-სანდერლენდი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 19.00 | 048 | ბირმინგემი-ფულემი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 19.00 | 049 | ბლეკბერნი-ევერტონი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 19.00 | 050 | ლიდსი-ბოლტონი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 20.05 | 051 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 052 | ბრაიტონი-დერბი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 19.00 | 053 | ქოვენტრი-ვოლვერჰემპტონი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 054 | ჯილინგემი-უიმბლდონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 055 | გრიმსბი-პრესტონი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 056 | მილუოლი-ლესტერი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 057 | ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 058 | ნოტინგემი-ბრედფორდი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 059 | პორტსმუთი-სტოკი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 060 | პორტსმუთი-სტოკი 0:1 | 1,9 | 3,2 | -2,6 | | | |
| 19.00 | 061 | როტერჰემი-ბარნსლი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 062 | შეფილდი-რედინგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 063 | უიმბლდონი-უოლსოლი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 064 | უოტფორდი-იფსვიჩი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |

### იტალია
### სერია "A". X ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 065 | ბოლონია-პერუჯა | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 23.30 | 066 | რომა-ინტერი | 2,35 | 2,9 | 3,0 | 1,29 | 1,31 | 1,47 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 067 | ატალანტა-ბრეშა | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 18.00 | 068 | კომო-ლაციო | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 18.00 | 069 | ემპოლი-რეჯინა | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 18.00 | 070 | მილანი-პარმა | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 18.00 | 071 | მოდენა-პიაჩენცა | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 18.00 | 072 | უდინეზე-კიევო | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 23.30 | 073 | ტორინო-იუვენტუსი | 5,3 | 3,1 | 1,65 | 1,95 | 1,25 | 1,07 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. X ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 106 | ვილიარეალი-სევილია | 2,05 | 3,0 | 3,5 | 1,21 | 1,29 | 1,61 |
| 00.30 | 107 | დეპორტივო-ბარსელონა | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 108 | ბილბაო-რაიო | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15. | 1,24 | 1,77 |
| 20.00 | 109 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 20.00 | 110 | ოსასუნა-ვალენსია | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 20.00 | 111 | ვალიადოლიდი-მალაგა | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 20.00 | 112 | რასინგი-მალიორკა | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 20.00 | 113 | ალავესი-უელვა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 22.00 | 114 | რეალი-სოსიედადი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 23.30 | 115 | ბეტისი-სელტა | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 116 | ალბასეტე-კორდობა | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 21.30 | 117 | ტერასა-ხეტაფე | 1,8 | 3,0 | 4,2 | 1,12 | 1,25 | 1,75 |
| 01.00 | 118 | ლას პალმასი-ალმერია | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 119 | ლეგანესი-ლევანტე | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 15.00 | 120 | ხერესი-ტენერიფე | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 20.00 | 121 | ბადახოსი-ოვიედო | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 20.00 | 122 | ეიბარი-სარაგოსა | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 20.00 | 123 | სპორტინგი-მურსია | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 20.00 | 124 | ეხიდო-სალამანკა | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 20.00 | 125 | ელჩე-ფეროლი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 20.00 | 126 | ნუმანსია-კომპოსტელა | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 127 | მონაკო-აიაჩო | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 128 | ოსერი-ნიცა | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 23.00 | 129 | ბასტია-გენგამი | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 23.00 | 130 | ლიონი-ბორდო | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 23.00 | 131 | მარსელი-ტრუა | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 23.00 | 132 | ნანტი-სტრასბური | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 23.00 | 133 | რენი-ლე ავრი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 23.00 | 134 | სედანი-ლილი | 2,15 | 3,0 | 3,3 | 1,25 | 1,3 | 1,57 |
| 23.00 | 135 | სოშო-მონპელიე | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 136 | ლანსი-პსჟ | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 137 | შატორუ-ლე მანი | 2,3 | 2,8 | 3,2 | 1,26 | 1,33 | 1,49 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 138 | კლერმონი-რეიმსი | 1,95 | 2,9 | 3,6 | 1,16 | 1,26 | 1,6 |
| 23.00 | 139 | კრეტეი-ბოვე | 2,1 | 2,8 | 3,6 | 1,19 | 1,32 | 1,57 |
| 23.00 | 140 | გრენობლი-ტულუზა | 2,35 | 2,9 | 3,0 | 1,29 | 1,31 | 1,47 |
| 23.00 | 141 | გენიონი-ლორიანი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 23.00 | 142 | ლავალი-მეცი | 2,15 | 2,9 | 3,4 | 1,23 | 1,31 | 1,56 |
| 23.00 | 143 | ამიენი-ისტრი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.00 | 144 | კანი-ნიორი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 23.00 | 145 | ვალანსი-ვალანსიენი | 2,15 | 3,0 | 3,3 | 1,25 | 1,3 | 1,57 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 146 | ნანსი-სტ.ეტიენი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |

### პორტუგალია. I ლიგა. XI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 01.00 | 147 | სპორტინგი-მარიტიმუ | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 148 | სპორტინგი-მარიტიმუ 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 01.00 | 149 | ვარზიმი-ბენფიკა | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 150 | ბრაგა-ბეირა მარი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 20.00 | 151 | ფერეირა-ლეირია | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 21.00 | 152 | სანტა კლარა-ნასიონალი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 22.00 | 153 | აკადემიკა-სეტუბალი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 23.00 | 154 | ბელენენსეში-გიმარაეში | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 155 | ბოავიშტა-ჟილ ვისენტე | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 01.15 | 156 | მორეირენსე-პორტუ | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |

### პორტუგალია. II ლიგა. XI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 157 | სალგეიროში-ავეში | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 158 | შავეში-ნავალი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 19.00 | 159 | ფარენსე-ალვერკა | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| 19.00 | 160 | ამადორა-კოვილია | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| 19.00 | 161 | ლამშა-ოვარენსე | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 19.00 | 162 | ფელგეირაში-მარკუ | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 20.00 | 163 | მაია-რიო ავე | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 20.00 | 164 | პორტიმონენსე-ლეცა | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 20.00 | 165 | მადეირა-პენაფიელი | 2,15 | 3,0 | 3,3 | 1,25 | 1,3 | 1,57 |

### ბელგია. II დივიზიონი
### გადადებული მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 193 | ვარეგემი-რონსე | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 194 | ინგელმუნსტერი-ეუპენი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |

### ჩეხეთი. XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.25 | 203 | ტეპლიცე-ბლშანი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 204 | სიგმა-ბოჰემიანსი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 16.30 | 205 | ბანიკი-ჟიჟკოვი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.30 | 206 | ბუდეიოვიცე-ჰ.კრალოვე | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 19.30 | 207 | ლიბერეცი-პრშიბრამი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.30 | 208 | სლავია-სიგმა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 209 | სლავია-სიგმა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 22.00 | 210 | სპარტა-ზლინი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 211 | სპარტა-ზლინი 0:1 | 1,35 | 3,6 | 4,0 | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 212 | ბრნო-იაბლონეცი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |

### პოლონეთი. XIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 213 | ამიკა-კატოვიცე | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 214 | პოლონია-ოდრა | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 16.00 | 215 | გარბარნია-პოგონი | 1,65 | 3,5 | 4,7 | 1,12 | 1,22 | 2 |
| 21.00 | 216 | პლოცკი-ოსტროვეცი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 21.00 | 217 | ვიძევი-ვისლა | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 21.00 | 218 | ლეხი-გურნიკი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 219 | ზაგლემბე-გროცლინი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 17.30 | 220 | რუხი-ლეგია | 3,5 | 3,0 | 2,05 | 1,61 | 1,29 | 1,21 |

### თურქეთი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 221 | გაზიანთეპი-დიარბაქირი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 15.30 | 222 | გაზიანთეპი-დიარბაქირი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 15.30 | 223 | ანკარაგიუჯიუ-გიოზთეპე | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 15.30 | 224 | ადანა-გენჩლერბირლიგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 21.00 | 225 | გალათასარაი-ტრაბზონი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 21.00 | 226 | გალათასარაი-ტრაბზონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 227 | მალათია-ქოჯაელი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 15.30 | 228 | ელაზიგი-სამსუნი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 15.30 | 229 | დენიზლი-ისთანბული | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 230 | ალთაი-ბეშიქთაში | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,19 | 1,07 |
| 21.00 | 231 | ფენერბაჩე-ბურსა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 21.00 | 232 | ფენერბაჩე-ბურსა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |

### შოტლანდია. პრემიერლიგა
### XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 234 | აბერდინი-რეინჯერსი | 7,5 | 4,0 | 1,35 | 2,6 | 1,14 | 1 |
| 19.00 | 235 | ჰიბერნიანი-დანდი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 19.00 | 236 | კილმარნოკი-ლივინგსტონი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 237 | მაზერველი-დანდი იუნაიტედი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 238 | სელტიკი-პარტიკი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 239 | სელტიკი-პარტიკი 0:1 | 1,35 | 3,6 | 4,0 | | | |
| 19.00 | 240 | დანფერმლაინი-ჰარტსი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **დანია. XVI ტური** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 259 | კოპენჰაგენი-კოგე | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 260 | კოპენჰაგენი-კოგე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 261 | ოლბორგი-აკადემისკი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 18.00 | 262 | ესბიერგი-ოდენსე | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 263 | ფარუმი-სილკებორგი | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 18.00 | 264 | ორჰუსი-ვიბორგი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 20.35 | 265 | მიდტიულანდი-ბრონდბი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| | | **ავსტრია. XIX ტური** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 266 | ბრეგენცი-ზალცბურგი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 18.30 | 267 | ადმირა-გრაცერი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 20.15 | 268 | რაპიდი-პაშინგი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 269 | შტურმი-კერნტენი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.30 | 270 | რიდი-ავსტრია | 3,8 | 3,2 | 1,85 | 1,73 | 1,24 | 1,17 |
| | | **შვეიცარია. "A" ჯგუფი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 271 | სერვეტი-ვილი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 20.30 | 272 | ციურიხი-აარაუ | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 273 | ციურიხი-აარაუ 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 274 | დელემონი-იანგ ბოისი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 17.30 | 275 | ლუცერნი-ბაზელი | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,69 | 1,23 | 1,2 |
| 17.30 | 276 | თუნი-გრასჰოპერი | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,69 | 1,23 | 1,2 |
| 19.15 | 277 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| | | **შვეიცარია. "B" ჯგუფი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 278 | კონკორდია-იუვერდონი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 20.30 | 279 | ვოლენი-სიონი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 22.30 | 280 | ლოზანა-ბადენი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 281 | ლოზანა-ბადენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 282 | ბელინცონა-კრიენსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.30 | 283 | შაფჰაუზენი-ვინტერთური | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 17.30 | 284 | ვადუცი-ლუგანო | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 293 | ბასი-მენსფილდი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 16.30 | 294 | პეტერბორო-ბრისტოლი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| 17.00 | 295 | ტრანმერი-კარდიფი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 296 | ბარნსლი-ბლეკპული | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 297 | ბორნმუთი-დონკასტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 19.00 | 298 | როჩდეილი-რანკორნი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 19.00 | 299 | ბური-პლიმუთი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 300 | კარლაილი-ლინკოლნი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 301 | ჩესტერფილდი-მორიკემბი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 19.00 | 302 | კოლჩესტერი-ჩესტერი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 303 | დოვერი-ოქსფორდი | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,91 | 1,2 | 1,11 |
| 19.00 | 304 | ჰალი-მაქლსფილდი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 305 | კიდერმინსტერი-რაშდენი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 19.00 | 306 | ლეიტონი-მარგეიტი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 19.00 | 307 | ლუტონი-გაისლი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 19.00 | 308 | ნორთჰემპტონი-ბოსტონი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 19.00 | 309 | ნორთვიჩი-სკანთორპი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 19.00 | 310 | ოლდემი-ბარტონი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 19.00 | 311 | პორტ ვეილი-კრიუ | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 312 | როჩდეილი-პიტერბორო | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 313 | სკარბორო-კემბრიჯი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 19.00 | 314 | შრუსბერი-სტაფორდი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 19.00 | 315 | საუთენდი-ჰარტლპული | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 316 | საუთპორტი-ნოტსი | 5,6 | 3,6 | 1,5 | 2,19 | 1,18 | 1,05 |
| 19.00 | 317 | სტოკპორტი-სტ.ოლბანსი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 19.00 | 318 | სუინდონი-ჰადერსფილდი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 319 | ტორკი-ბორჰემი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 19.00 | 320 | ვოქსჰოლი-ქუინს პარკი | 8,0 | 4,4 | 1,3 | 2,83 | 1,11 | 1 |
| 19.00 | 321 | რექსჰემი-დარლინგტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 322 | უიკომბი-ბრენტფორდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 323 | იოვილი-ჩელტნემი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 19.00 | 324 | იორკი-სუონსი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 21.35 | 325 | ჰერეფორდი-უიგანი | 4,4 | 3,6 | 1,6 | 1,98 | 1,17 | 1,1 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 326 | ფორესტ გრინი-ექსეტერი | 2,25 | 3,4 | 2,7 | 1,35 | 1,22 | 1,5 |
| | | **საბერძნეთი. თასი. 1/16 ფინალი. II მატჩები.** | | | | | | |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 344 | ატრომიტოსი-კალამატა | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.30 | 345 | არისი-პატრაიკოსი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | | **უეფას თასი. II წრე. II მატჩი.** | | | | | | |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 369 | დენიზლი-სპარტა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.00 | 370 | პანიონიოსი-ლიონი | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| 20.30 | 371 | შალკე-ლეგია | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 21.00 | 372 | ლევსკი-შტურმი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 21.30 | 373 | ბეშიქთაში-ალავესი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 22.00 | 374 | ლიბერეცი-ოდენსე | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 22.00 | 375 | ვიკინგი-სელტა | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 22.00 | 376 | ცრვენა ზვეზდა-ლაციო | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 22.30 | 377 | ანორთოსისი-ბოავიშტა | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| 23.00 | 378 | პანათინაიკოსი-ფენერბაჩე | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 23.00 | 379 | სლავია-პარტიზანი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 23.05 | 380 | მიდტიულანდი-ანდერლეხტი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 23.15 | 381 | გრასჰოპერი-პაოკი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 23.30 | 382 | ვერდერი-ვიტესი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 23.30 | 383 | მალ-ნაციონალი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 23.45 | 384 | ბლეკბერნი-სელტიკი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 23.45 | 385 | ფულემი-დინამო(ზ) | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 23.45 | 386 | ვისლა-პარმა | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 00.30 | 387 | ბეტისი-ვიბორგი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 01.30 | 388 | პორტუ-ავსტრია | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური** | | | | | | |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 787 | ცსკა-აეკ | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| 23.00 | 788 | ალბა-პო ორტეზი | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 23.00 | 789 | მაკაბი-ბუდუჩნოსტი | 1,1 | 12,0 | 5,0 | | | |
| 23.30 | 790 | ტაუ-ფალკონისი | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| 23.30 | 791 | სიენა-ოლიმპია | 1,7 | 12,0 | 1,9 | | | |
| 23.30 | 792 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1,6 | 12,0 | 2,0 | | | |
| 23.30 | 793 | კინდერი-ცსკა | 1,6 | 12,0 | 2,0 | | | |

**ტურში გატანილი გოლების რაოდენობა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.11 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 16.11 19.00 | 2602 | ინგლისი პლ. (XIV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9, | 27 ან მეტი – 1,9 |
| 16.11 21.00 | 2603 | იტალია "A" (X ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9, | 25 ან მეტი – 1,9 |
| 16.11 23.30 | 2604 | ესპანეთი Iდ. (X ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9, | 28 ან მეტი – 1,9 |
| 14.11 22.00 | 2605 | საფრანგეთი Iდ. (XV ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9, | 24 ან მეტი – 1,9 |
| 15.11 01.00 | 2606 | პორტუგალია Iდ. (XI ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9, | 25 ან მეტი – 1,9 |
| 15.11 23.00 | 2607 | ჰოლანდია Iდ. (XII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9, | 27 ან მეტი – 1,9 |
| 16.11 15.30 | 2608 | თურქეთი. (XIII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9, | 28 ან მეტი – 1,9 |

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.


### კროკოს ბიუროთა მისამართები

| ქალაქი | მისამართი | ორიენტირი |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „ბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქ №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერის ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |


სამ თბილისურ ბიუროში
კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი
კროკოს უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა
შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30

# ალმასკომის კარდაკარ სიარულში მოსმენილი საჰაერო თავგადასავალი

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის წევრთა რაოდენობა შარშანდელი სესიის მერე ისე გაფართოვდა, რომ თავის სხდომების ჩასატარებლად საკუთარ ოფისში ველარ ეტევა. ამიტომ გუშინდელი ალმასკომის სხდომაც სასტუმრო „სიმპათიაში" გაიმართა. სხდომა მილოცვებით დაიწყო. ჯერ დავით გობეჯიშვილს მიულოცეს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნა, მერე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტ ელგუჯა ბერიშვილს — „ღირსების ორდენით" დაჯილდოვება**

**ამ მილოცვებს** ჩვენც ვუერთდებით. ვუერთდებით სეოკ-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონის ნახევრად ხუმრობასაც, რომლითაც ბლედის საჭადრაკო ოლიმპიადიდან მშვიდობით დაბრუნებულ ნონა გაფრინდაშვილს და სეოკ-ის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილს მიმართა.

მეგონა, რომ ჩვენს ქალთა ნაკრებს ოლიმპიადის ჩემპიონობას მივულოცავდით, მაგრამ ახლა ყველას გადარჩენას გილოცავთო, თქვა ჯანო ბაგრატიონმა.

გადარჩენაში თურმე ბლედიდან შინისკენ გზას დადგარი ჩვენი დელეგაციის საჰაერო თავგადასავლების კეთილად დასრულებას გულისხმობდა.

— როცა ავფრინდით, გამოხდა ხანი და ხვიჩა სუპატაშვილი ამბობს, კაცო, რაღაც ამ თვითმფრინავის ძრავის ხმა არ მომწონს და არც ჩვეულ სიმაღლეზე მივფრინავთო, მაგრამ სუპატაშვილს ყური არავინ ათხოვა, არადა, მართალი ყოფილა — იხსენებს ნონა გაფრინდაშვილი და მის დაწყებულ თხრობას ემზარ ზენაიშვილი იუმორით აგრძელებს:

— ორი საათის ფრენის მერე რომ ვიფიქრე, სადღაც სამგორის თავზე ვართ-მეთქი, მოულოდნელად გვიცხადებენ, თვითმფრინავის მართვის სისტემაში დაზიანებაა და უკან ვბრუნდებით, ორ საათში კი ვენაში დავჯდებითო. ორი საათი ყველანი მშვიდად ვიყავით, მაგრამ თვითმფრინავი რომ აღარ დაჯდა და წრეზე დაიწყო ფრენა, მაშინ, გიყვარდეს, ავნერვიულდით. წუთი წუთს მისდევდა, მაგრამ თვითმფრინავი არ ჯდებოდა, ასე მიილია კიდევ ნახევარი საათი და, როგორც იქნა, ვენაში დავეშვით. თუმცა, მე მგონი, იქიდან შორს არც გამოვფრენილვართ. თვითმფრინავის გაუმართაობა, ეტყობა, მალევე აღმოაჩინეს, რის გამოც 5 000 მეტრზე მაღლა ვერც ავფრინდით. ამიტომ ალბათ, მთელი იმ ხნის განმავლობაში ავსტრიის ცაში ვტრიალებდით, რათა თვითმფრინავი საწვავისგან დაცლილიყო.

ამ თავგადასავლით ჯერ შეშფოთებულ, მერე გამხიარულებულ ალმასკომის წევრებს დღის წესრიგი ლამის დაავიწყდათ. კითხვები ხან ნონა გაფრინდაშვილს დააყარეს, ხან ემზარ ზენაიშვილს.

მგზავრთაგან, თურმე, უცხოელებს რატომღაც წარბიც არ შეუხრიათ, პერსონალური კომპიუტერები მშვიდად აუწკაპუნებიათ, ეგებ რამე გავიგოთ, ჩვენს თავს რა ხდებაო, უპერსონალკომპიუტერო ქართველობა კი კარგა გვარიანად დაფეთებულა. ერთადერთი, ვინც ოლიმპიური სიმშვიდე შეინარჩუნა, ნონა გაფრინდაშვილი ყოფილა.

— რომ მენერვიულა, ამით საქმეს რა ეშველებოდა?! — შეიცხადა ქალბატონმა ნონამ და ამის მერე ვიღაცას გაახსენდა, ახლა საქმეს მივხედოთო.

„საქმეში", ცხადია, ალმასკომის დღის წესრიგი იგულისხმებოდა. დღის წესრიგიდან საინტერესო იყო „სროლის სახეობათა ფედერაციის ხელმძღვანელობის ინფორმაცია ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების მიმდინარეობის შესახებ". ითქვა, რომ ამ სახეობაში ნინო სალუქვაძემ უკვე მოიპოვა ოლიმპიური ლიცენზია. ამის დიდი შანსი აქვს მაია გუბიევასაც, რომელიც 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონია გუნდურ პირველობაში, მაგრამ ცხრა წელიწადია შეჯიბრებებზე აღარ გამოსულა. შარშან მან კვლავ აიღო თოფი ხელში და წლეულს „კვიპროსის დიდი პრიზის" გათამაშებაში მერვე ადგილი დაიკავა, მაგრამ დაუფინანსებლობის გამო დანარჩენ ასპარეზობებში ველარ გამოვიდა. მას აქვს კარგი, მაგრამ მოძველებული თოფი, რომელიც როდის გამოვა მწყობრიდან, კაცმა არ იცის და ამიტომ საჭიროა მისთვის სათადარიგო იარაღის შეძენა.

ნინო სალუქვაძე 10-11 წლის წინანდელ ტყვიებს ისვრის, რაც სახიფათოა. ამიტომ საჭიროა მისი ახალი ტყვია-წამლით მომარაგებაც.

ალმასკომზე იმსჯელეს „ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ დღეებში მონაწილეობისთვის მზადების მიმდინარეობის შესახებ" და მიიღეს შესაბამისი დადგენილებაც.

ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის VII ოლიმპიურ დღეებში მონაწილე საქართველოს ნაკრების შემადგენლობა დამტკიცდება სრულიად საქართველოს ახალგაზრდული თამაშების შედეგების გათვალისწინებით.

ამ თამაშებთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებაში ორი პუნქტი „ფინანსირება" და „პასუხისმგებლობა", სამწუხაროდ, შეუვსებელი დარჩა, რადგან ეს საკითხები ჯერჯერობით გადაუჭრელია.

ალმასკომის სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც, მათ შორის იმსჯელეს სეოკ-ის 1990 წლის 6 ივლისის დადგენილების — „ქ. თბილისის მ. გორკის სახელობის კულტურისა და ტექნიკის სასახლის და პარკის სეოკ-ის ბალანსზე გადმოცემის შემდგომ გამოყენების შესახებ" — ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე. ითქვა, რომ თუ არ იქნება მიღებული გადამჭრელი ღონისძიებანი, საქართველოს ოლიმპიური მოძრაობა ქალაქის ცენტრში დაკარგავს უაღრესად საჭირო ობიექტს ოლიმპიური საქმიანობის შემდგომი გაშლისა და გაფართოებისთვისო.

„გადამჭრელი ღონისძიებების" მერე, ეტყობა, სეოკ-ის ალმასკომს სხდომების ჩასატარებლად კარდაკარ სიარული აღარ მოუწევს და სხვაც ბევრი პრობლემა გადაიჭრება.

**ავთანდილ ტყვიშვილი**



## NBA რეგულარული ჩემპიონატი



ვლადიმერ სტეფანიამ ელტონ ბრენდს ბევრიც ვერაფერი დააკლო

AP მაიამიდან

# ალარ დადგა ჯერის ჯერი?

## პეიტონს მიცემულები დაუთვალეს

12 ნოემბერი

**მაიამი 82:101 კლიპერსი**

**მაიამი:** კარტერი (4), ჯონსი (14), ქ. ბატლერი (14), ალენი (11), გრანტი (9); რ. ბატლერი (16), ჯეიმსი (13), სტეფანია (16 წუთი, 2 ქულა, 9 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ელისი

**კლიპერსი:** მილერი (22), პიატკოვსკი (13), მეჯიტი (19), ბრენდი (25 ქულა, 20 მოხსნა), ოლოვოკანდი (19); დულინგი (3), იარიჩი, რუქსი

**ვაშინგტონი 95:101 სიეტლი**

**ვაშინგტონი:** ჯორდანი (27), ჰიუზი (19)

**სიეტლი:** ლუისი (37), ბერი (17), პეიტონი (14 ქულა, 16 პასი)

**ლეიკერსი 83:95 ატლანტა**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (21), შოუ (17)

**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (26), ტერი (21)

**დეტროიტი 93:87 ნიუ ორლეანი**

**დეტროიტი:** ეტკინსი (20), ბერი (17), ჰამილტონი (16)

**ნიუ ორლეანი:** მაშბერნი (17)

**ორლანდო 109:115 ტორონტო**

**ორლანდო:** მაკგრეიდი (38), ჰილი (21)

**ტორონტო:** ე. უილიამსი (32), ჯ. უილიამსი (30), პეტერსონი (23 ქულა, 12 მოხსნა)

**ინდიანა 96:75 კლივლენდი**

**ინდიანა:** არტესტი (22)

**კლივლენდი:** მილზი (19), ილგაუსკასი (17)

**ნიუ იორკი 87:108 იუტა**

**ნიუ იორკი:** ვეზერსპუნი (17), ნეილონი (15)

**იუტა:** მელოუნი (21), კირილენკო (20), ჰარპრინგი (19)

**ჰიუსტონი 86:83 პორტლენდი**

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (30)

**პორტლენდი:** პიპენი (12), საბონისი (12), უელსი (12)

ატლანტისპირა მაიამიში წყნარი ოკეანის შორეული ნაპირებიდან ჩასულ კლიპერსელებს შეეძლოთ, სამსაათიანი ფრენით არ დაეტანჯათ 12-კაციანი შემადგენლობა და სათადარიგოები შინ დაეტოვებინათ. „კლიპერსის" შემცვლელებმა „მაიამისთან" შეხვედრაში კაპიკის საქმე გააკეთეს, სულ სამი ქულა ჩააგდეს, მაგრამ ამით მათ გუნდს არაფერი მოჰკლებია. სტუმართა ხუთი დამწყები პირველიდან ბოლო წუთამდე არბევდა მასპინძელთა მოშიშვლებულ კალათს. სათადარიგოები ამ საქმეში მაქსიმალურად პასიურად მონაწილეობდნენ და მრავალათასიანი გარინდული დარბაზის მოედნისპირა კუნჭულში მხიარულების პატარა ბუდეს ქმნიდნენ.

„მაიამიმ" პრაქტიკულად ყველა კომპონენტი დაუთმო „კლიპერსს", განსაკუთრებით მეორე ნახევარში გამოავლინა თავისი უსუსურობა და ამ წაგებით იმიტომ გადაურჩა ატლანტის დივიზიონის ცხრილში დაძირვას, რომ იმ დღეს მასავით უკბილო „ნიუ იორკიც" დამარცხდა.

„მაიამის" ჩვენებურმა ცენტრმა ვოვა სტეფანიამ 16 წუთი ითამაშა და შეტევაში თავი ვერაფრით გამოიჩინა. რაც შეეხება საკუთარ ნახევარს, აქ სტეფანია, როგორც ყოველთვის, ბეჯითად მუშაობდა და რამდენიმე ბურთი მოხსნა, მაგრამ მთლიანობაში მანაც და მისიანებმაც ამ კომპონენტშიც დაუთმეს 20 ბურთის მომხსნელ ელტონ ბრენდს და სხვა მომხდურთ.

კიდევ ერთმა წყნაროკეანელმა იმ დღეს სხვა ატლანტელი [illegible] გადასარევ ფორმაშია „სიეტლ სუპერსონიქსი" და ამის დასტურად მაიკლ ჯორდანის ვაშინგტონი შემოემარცხა. ჯორდანი საუკეთესო იყო თავისიანებში და დედაქალაქელებს 31 წუთში 27 ქულა მიაშველა. ბოლო წუთებზე ძირითადად ის თუ უგდებდა „სიეტლს" და „ვაშინგტონის" ბოლო 14 ქულიდან 10 თავის ანგარიშზე ჩაიწერა, მაგრამ მარტო კაცი ვერას გახდა, თანაგუნდელებმა დაალალატეს, მეტადრე კი ამათ შორის უჩაუქსმა ჯერი სტეკპაუზმა. რაც „ვაშინგტონში" გადმობარგდა, სტეკპაუზს ასე უხეიროდ არ უთამაშია. წლეულს ის ყოველ მატჩში საშუალოდ 23-იოდ ქულას იხვეჭს, ახლა კი 13 დაყაბულდა, თანაც შეხვედრის დამთავრებამდე ორნახევარი წუთით ადრე, როცა მისი გუნდი მხოლოდ ქულით ჩამორჩებოდა, ორი საჯარიმო სროლა გააოხრა და თავის გუნდს დაწინაურების შანსი მოუსპო. ჯორდანი ამ დროს კარგად მოღლილიყო, სხვები ვერ ვარგოდნენ და დარჩენილი დრო კარგად გამოიყენეს სიეტლელებმა.

„სიეტლის" ლიდერ გერი პეიტონს იმ დღეს ბევრი არ ჩაუყრია, მაგრამ სხვებს პასები არ მოაკლო, იმ თამაშში 16 გადაცემა დაუგროვდა და კარიერაში 7 000 პასს გადააბიჯა. ნბა-ს ისტორიას სულ 10 ასეთი შემთხვევა ახსოვს.

უშაკილონილო „ლეიკერსს" უმოწყალოდ ჯიჯგნიან ნბა-ს სვავები და ახლა მათი უიღბლობით ატლანტელმა „ქორებმაც" ამოიყორეს სტომაქი. „ლეიკერსმა" ზედიზედ მეოთხედ წააგო და საკლუბო თუ საყოველთაო ანტირეკორდებს „შეუტია". „ლეიკერსს" 1995 წლიდან არ წაუგია ზედიზედ ოთხჯერ და ბოლო 36 წელია (!) არ დაუწყია სეზონი ასე უხეიროდ.

**ირაკლი ფირაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
| ბოსტონი | 5 | 2 | 71,4 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 2 | 71,4 |
| ფილადელფია | 4 | 2 | 66,7 |
| ორლანდო | 5 | 3 | 62,5 |
| ვაშინგტონი | 4 | 4 | 50,0 |
| მაიამი | 1 | 5 | 16,7 |
| ნიუ იორკი | 1 | 7 | 12,5 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ინდიანა | 6 | 1 | 85,7 |
| დეტროიტი | 6 | 2 | 75,0 |
| ნიუ ორლეანი | 5 | 2 | 71,4 |
| ატლანტა | 4 | 4 | 50,0 |
| მილოუკი | 3 | 3 | 50,0 |
| ჩიკაგო | 3 | 4 | 42,9 |
| ტორონტო | 3 | 4 | 42,9 |
| კლივლენდი | 2 | 6 | 25,0 |
| დასავლეთის კონფერენცია | | | |
| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
| დალასი | 7 | 0 | 100,0 |
| სან ანტონიო | 5 | 2 | 71,4 |
| ჰიუსტონი | 4 | 2 | 66,7 |
| მინესოტა | 4 | 4 | 50,0 |
| იუტა | 3 | 5 | 37,5 |
| დენვერი | 2 | 4 | 33,3 |
| მემფისი | 0 | 8 | 00,0 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| სიეტლი | 6 | 2 | 71,0 |
| საკრამენტო | 5 | 3 | 62,5 |
| ფინიქსი | 3 | 3 | 50,0 |
| კლიპერსი | 3 | 4 | 42,9 |
| პორტლენდი | 3 | 6 | 33,3 |
| გოლდენ სტეიტი | 2 | 6 | 25,0 |
| ლეიკერსი | 2 | 6 | 25,0 |



## რეგულარული ჩემპიონატი

12 ნოემბერი

**ვანკუვერი 6:3 სენტ ლუისი 1:2 3:1 2:0**

0:1 პრონგერი (6), 0:2 სტილმანი (9), 1:2 ბერტუცი (19), 2:2 ჩუბაროვი (21), 3:2 უორინერი (26), 4:2 მორისონი (35), 4:3 მელანბი (38), 5:3 ლეტოვსკი (52), 6:3 ლინდენი (57)

**კოლორადო 5:4 კოლუმბუსი 1:1 2:1 2:2**

0:1 სილინჯერი (14), 1:1 შეიდუკი (20), 1:2 სენდერსონი (26), 2:2 ვრბატა (26), 3:2 შეიდუკი (35), 3:3 სენდერსონი (44), 4:3 ფორსბერგი (45), 5:3 რაინპრეხტი (52), 5:4 შაჩეკი (55)

**მინესოტა 2:3 ედმონტონი 1:2 0:2 1:0**

0:1 კომრი (2), 1:1 ბრიუნეტი (8), 1:2 ჯ. სმიტი (20), 1:2 კოგრი (23), 2:3 დიუპუი (43)

**ტორონტო 4:3 ლოს ანჯელესი 3:0 0:0 0:3 1:0**

1:0 სუნდინი (4), 2:0 ჰოგლუნდი (12), 3:0 კაბერლე (19), 3:1 მოდრი (43), 3:2 დედმარში (48), 3:3 დედმარში (55), 4:3 სუნდინი (64)

**დეტროიტი 4:1 ნეშვილი 0:1 2:0 2:0**

0:1 ერატი (20), 1:1 შენაჰანი (24), 2:1 ფიოდოროვი (37), 3:1 მაკარტი (44), 4:1 შენაჰანი (54)

**მონრეალი 2:4 დალასი 0:3 1:0 1:1**

0:1 ზუბოვი (2), 0:2 მოდანო (7), 0:3 არნოტი (11), 1:3 პეტროვი (23), 2:3 ზედნიკი (48), 2:4 ლეჰტინენი (60)

**ნიუ ჯერსი 3:2 ანაჰაიმი 0:1 0:0 2:1 1:0**

0:1 მაკდონალდი (3), 0:2 შეინარი (47), 1:2 ლანგენბრუნერი (48), 2:2 გომესი (49), 3:2 ლანგენბრუნერი (64)

**კაროლინა 3:2 ფინიქსი 1:1 1:0 1:1**

1:0 ფრენსისი (8), 1:1 ბუკბერგერი (9), 2:1 ბლავიჩი (33), 3:1 ჰედიკანი (55), 3:2 დოუნი (58)

**აილენდერსი 3:5 ოტავა 0:2 1:1 2:2**

0:1 ხარა (6), 0:2 უაიტი (9), 0:3 შეფერი (22), 1:3 ოკუანი (31), 1:4 ვან ალენი (46), 2:4 ეშამი (47), 3:4 მენლოუ (49), 3:5 ხარა (60)

**ბუფალო 3:4 ბოსტონი 1:1 0:3 2:0**

0:1 ტორნტონი (1), 1:1 დიუმონი (14), 1:2 მაკინისი (24), 1:3 ტორნტონი (28), 1:4 აქსელსონი (29), 2:4 გრეტონი (58), 3:4 გრეტონი (60)



დალასელი მოდანოსა და მონრეალელი თეოდორის ამ ჭიდში შაიბა ვილის ახლოვდა

REUTERS მონრეალიდან

ნბა-ში ნიკა ცქიტიშვილის დებიუტს ურიგო არ ეთქმოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენებური „მინესოტასათან“ სეპერვარსკვლავ კევინ გარნეტს მეურვეობდა, რომელმაც ქართველის მოედანზე ყოფნისას მხოლოდ 6 ქულა მოაგროვა, ცქიტიშვილის გარჯა დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს... ნიკას არც მომდევნო მატჩში შეურცხვენია თავი, როცა ყბადაღებულ იაომინგიან „ჰიუსტონს“ 19 წუთში 10 ქულა ჩაუგდო. ახალბედა დენვერელისთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ... „პორტლენდთან“ თამაში არ წამივიდა და ბზდელიკმა მალევე გამიყვანა მოედნიდან. მას მერე, მცირე ხნით მაძლევს ხოლმე შანსს, გამოცდილებს უფრო ენდობა“ — გვითხრა ნიკა ცქიტიშვილმა დენვერიდან, რომელსაც ბზდელიკი თურმე უბოდიშებს კიდეც უთამაშებლობისთვის.

„პორტლენდთან“ შეხვედრიდან სამ თამაშში, ცქიტიშვილი მცირე ხნით შედის მოედანზე. თუ როგორ გაისარჯა ნიკა შემდეგ შეხვედრაში „ფინიქსთან“, ხვალინდელ „სარბიელში“ შეიტყობთ, ეს ინტერვიუ კი ამ მატჩის წინა ღამეს შედგა, მას შემდეგ, რაც „ცქიტოს“ დედის, ქალბატონ გულიკოს გამომცხვარი ხაჭაპურით პირჩაკოკლოზინებულმა „ფინიქსის“ მწვრთნელმა მაიკ დანტონიმ ნიკას ახალშეძენილი სახლი დატოვა...

# ბოდიში, ნიკ...



## ცქიტიშვილს ახალმა მწვრთნელმა გამოცდილება დაუწუნა, ძველმა ხაჭაპური მოუწონა

**— ნბა-ს ახალდაწყებულ ჩემპიონატში უკვე ექვსი მატჩი ითამაშე. მოდი, შენი სადებიუტო შეხვედრით დავიწყოთ...**

— რეგულარული ჩემპიონატის გახსნის მატჩში ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა, „მინესოტას“ ვესტუმრეთ. ყველასთვის მოულოდნელი იყო, რომ „დენვერმა“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მინეაპოლისელებს, ეს ჩვენი გუნდის კარგი დაცვითი თამაშის შედეგია. ბზდელიკმა მინესოტელთა ლიდერ კევინ გარნეტის მეურვეობა დამავალა. გარნეტი თავდამსხმელია და უფრო ფარზეა ორიენტირებული, მე კი, ბზდელიკი ცოტა უკან, ფრთის პოზიციაზე მათამაშებს, მაგრამ ამ მატჩში გარნეტის დაჭერა მომანდო. ალბათ იმიტომ, რომ თითქმის ერთნაირი აგებულების კალათბურთელები ვართ, გარნეტი თითქმის ჩემსავით გამხდარია, სიმაღლეში კი ტოლები ვართ.

**— გარნეტს იმ თამაშში 13 ქულა დაუგროვდა, რაც მისთვის მოკრძალებული შედეგია...**

— არ მინდა ტრაბახში ჩამეთვალოს, მაგრამ გარნეტი გავაჩერე. ეს მხოლოდ ჩემი სიტყვები არაა, აქაურმა პრესამაც დაწერა. შეტევა გულში არც გამივლია, გარნეტს ლანდივით დავდევდი და როგორც შემეძლო, ხელს ვუშლიდი ბურთის ჩაგდებაში. მოედანზე ჯამში 29 წუთი გავატარე, ამ ხნის მანძილზე გარნეტმა მხოლოდ 6 ქულა მოაგროვა. მოხსნები კი ბევრი ჰქონდა, ფარქვეშ მისი შეჩერება რთული საქმეა.

**— ადრე გითქვამს, გარნეტი ჩემი ოცნების კალათბურთელიაო. მის წინააღმდეგ წარმატებულმა თამაშმა როგორი გავლენა მოახდინა შენზე?**

— არც ისეთი, შოკში რომ ჩავვარდე. ასეთ რამეს ერთი წლის წინ ვერც წარმოვიდგენდი, მაგრამ „მინესოტასთან“ შეხვედრამდე საგამოფენო მატჩში კობი ბრაიანტთან და მაიკლ ჯორდანთან ვითამაშე და გარნეტთან ერთად მოედანზე ყოფნას ძალიან დიდი ეფექტი არ მოუხდენია.

**— წარმატებულ დებიუტს „ჰიუსტონთან“ დამაჯერებლად ნათამაშევი მატჩი მოჰყვა...**

— „ჰიუსტონთან“ უფრო ნაკლები ხნით ვითამაშე, მაგრამ პირველი მატჩისგან განსხვავებული მეტი ჩავაგდე. ამ შეხვედრაში შეტევაზეც ვფიქრობდი და კარგადაც გამომივიდა, 10 ქულა მოვაგროვე.

**— ამ მატჩში შენი ბენეტონელი თანაგუნდელი ბოსტიან ნახბარი თამაშობდა ჰიუსტონელთა შორის...**

— მის წინააღმდეგ მცირე ხნით მომიწია თამაშმა, ნორმალურად ირჯებოდა.

**— ცხადია, იგივეს ვერ იტყვი დრაფტის პირველ ნომერ იაო მინგზე...**

— ჰიუსტონელებს მინგის დიდი იმედი აქვთ, მაგრამ ჩინელი ჯერჯერობით ვერ ამართლებს. ის თავის დღე და მოსწრება ჩინეთში თამაშობდა და აქაური კალათბურთისთვის ალღოს ალებაში საკმაო დრო დასჭირდება.

**— ალბათ, შენც დრო დაგჭირდება, ნბა-ს რომ მოერგო, „ჰიუსტონთან“ შეხვედრის შემდეგ თითქმის არ გითამაშია, მოედანზე რამდენიმე წუთით გადიხარ და არაფერი გამოგდის...**

— „ჰიუსტონთან“ მატჩის მერე ჩემთვის მართლაც ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა. „პორტლენდთან“ ბზდელიკმა ძალიან ცოტა ხნით მათამაშა. ორი უხეში შეცდომა დავუშვი, ისეთი დაძაბული ბრძოლა მიდიოდა, ჩემი მოედანზე შეშვება აღარ გარისკა.

**— მომდევნო მატჩებშიც იგივე განმეორდა...**

— მათამაშებს და თუ შევცდი, ეგრევე გავყავარ მოედნიდან. არ ვიცი, რატომ აკეთებს ამას, ალბათ, გამოცდილებს ენდობა.

**— ილარიონს რატომ ათამაშებს ხანგძლივად, ისიც ხომ ახალბედაა?**

— „დენვერს“ რომ ცენტრის პოზიციაზე უჭირს, ცნობილი ამბავია. ილარიონს ერთი, ისიც უხეირო კონკურენტი ჰყავს, კორი ბლუნტი. მარკუს კემბი კვლავაც ტრავმირებულია და ბზდელიკს სხვა გზა არცა აქვს, ილარიონს ათამაშებს. ჩემს პოზიციაზე კი დიდი კონკურენციაა. გუნდის ლიდერები, ჯოუვან ჰოვარდი, რაიან ბოუენი, ამ ბოლოს ათამაშებული როდნი ვაიტი და კიდევ რამდენიმე 3-4 ნომერზე თამაშობენ. ერთი შეცდომის უფლება არ მაქვს, მწვრთნელს მაშინვე გავყავარ, ილარიონს უკეთესად აქვს საქმე.

**— პირველ ორ მატჩში დიდი ხნით რომ ითამაშე, რატომ არ შეგცვალა. მაშინ შეცდომები არ მოგსვლია?**

— არა, და თუ იყო, ძალიან ცოტა.

**— რატომ არ გპატიობს?**

— ჩემი აზრით კი, ამაში ჩემი ბენეტონელი მწვრთნელი მაიკ დანტონიც დამეთანხმა, ბზდელიკმა გარკვეული სტრატეგია შეიმუშავა. თუ შეამჩნიე, პირველ მატჩებში ახალბედებს საკმაოდ დროით გვათამაშებდა, მერე კი, რომ ნახა, ვერ იგებდა, აქცენტი ვეტერანებზე გადაიტანა. ახალი მწვრთნელია ბზდელიკი და მას ახლა ყველაზე მეტად თამაშების მოგება სწადია. ახალბედებს რომ ენდოს და არ გაუმართლოს, „დენვერის“ ხელმძღვანელობამ შეიძლება დაითხოვოს. ახლა კი ყველაზე გამოცდილებს ენდობა, გასამართლებელი საბუთი რომ ჰქონდეს.

**— არც გამოცდილები სწყალობენ...**

— „დენვერის“ წამყვანები ჯეიმზ პოუზი და ჯუოვან ჰოვარდი არიან. ჰოვარდმა თავიდან ერთი მატჩი კარგად ითამაშა, მას მერე აღარაფერი გამოსდის.

**— როდნი ვაიტი?**

— ეს ბიჭი სათადარიგო იყო, თითქმის არ თამაშობდა, ბოლო შეხვედრაში კი ყველა გააოცა. მისი სახით კიდევ ერთი კონკურენტი გამომიჩნდა.

**— როგორ ფიქრობ, რატომ არ მიგდის თამაში, ფსიქოლოგიური ზეწოლის ბრალი ხომ არაა?**

— არა, არაფერზე ვნერვიულობ. უბრალოდ, საკმაო დროით არ ვთამაშობ და იმიტომაც არ გამომდის. ხანგრძლივად რომ შემიყვანოს ბზდელიკმა მოედანზე, დარწმუნებული ვარ, ნელ-ნელა ყველაფერს ალღოს ავუღებ, მაგრამ, როგორც გითხარი, მწვრთნელს არა აქვს ექსპერიმენტების დრო.

**— ვთქვათ, მოედანზე შესვლიდანვე კარგად ჩაერთვე თამაშში...**

— ცხადია, ბზდელიკი არ გამომიყვანს, მეუბნება კიდეც, თუ შეცდომებს არ დაუშვებ, ბოლომდე გენდობი. იმ დღეს ისეთი რამ მკითხა, გავოცდი, ხომ არ გწყინს, რომ არ გათამაშებო. გავიკვირვე, რატომ უნდა მეწყინოს-მეთქი. წინ უამრავი თამაშია და ალბათ ჩემი ჯერიც დადგება. ვფიქრობ, „დენვერი“ მომავალი სეზონისთვის მამზადებს, ახლა ნელ-ნელა მაჩვევს აქაურ კალათბურთს, მომავლისთვის რომ გამოვადგე. ისე, ეს აქამდეც ცნობილი იყო, „დენვერი“ ხმამაღლა აცხადებდა, რომ ახალბედების იმედი სამომავლოდ აქვს, თუ წლეულსვე „გაჰქაჩავდით“, ხომ კარგი.

**— სანამ ჩემპიონატი დაიწყებოდა, პროფესიონალებთან არაერთხელ ითამაშე. მაშინ ამბობდი, ნბა-ს მატჩებში არ უნდა გამიძნელდესო...**

— ჩემპიონატის დაწყებამდე მეგონა, რომ ნბა-ს ნაღდ მატჩებსა და საგამოფენო თამაშებს შორის დიდი სხვაობა არ იქნებოდა, თურმე ვცდებოდი. თითქოს მოთამაშეები ახლა უფრო ჯანიანები და ხისტები გახდნენ.

**— ნბა-ში გარკვეულ დონეზე სათამაშოდ ყველაზე მეტად რა გჭირდება?**

— ფიზიკურად მომძლავრება. ილარიო ავილოთ, ნბა-ში არასდროს უთამაშია, მაგრამ ჯანის ხარჯზე თავს არ ირცხვენს. მეტი წონა რომ მქონდეს, ფარქვეშ ხშირად შევიდოდი და შედეგიანობაც ამიმაღლდებოდა. ახლა კი თითქმის სულ პერიმეტრზე ვთამაშობ, ჩემი ფარიდან მოხსნილი ბურთების სიმწირეც ამით აიხსნება. „მემფისთან“ ოთხ ნომერზე ვითამაშე, ჩემთვის საკმარისი 4 მოხსნა კი დავაგროვე, მაგრამ ისეთ ჯაჯგურში მოვყევი, კინაღამ გამჭყლიტეს.

**— ნბა-ს მატჩების ფოტოებიდან სუსტად არ გამოიყურები, დაკუნთულხარ...**

— უწინდელთან რა შედარებაა, კუნთებიც დამაჯდა და წონაშიც მოვიმატე, მაგრამ ჩემი სიმაღლის კალათბურთელისთვის ეს არაა საკმარისი. ძლესდლეობით „დენვერს“ შეტევაში მხოლოდ შორიდან სასროლად ვჭირდები, ჯანიც რომ მქონდეს, შეტევითი პოტენციალი გამიორმაგდებოდა.

**— ალბათ, „მემფისთან“ მატჩშიც ნახავდი, რომ მთლად ჯანიანი არც პაუ გასოლია, მაგრამ ფარქვეშ ყოჩაღად თამაშობს...**

— მართალი ხარ, მაგრამ გასოლს ფარქვეშ თამაშის განსაკუთრებული ნიჭი აქვს. ისე გაძვრებ-გამოძვრება და თავისი გრძელი ხელებით ისეთ ბურთს ჩააგდებს ხოლმე, ხალხი გაოცებული რჩება.

**— ზემოთ მაიკ დანტონი ახსენე...**

— ხვალ ფინიქსელებს ვეთამაშებით და დენვერში ჩამოვიდნენ თუ არა, დანტონის სასტუმროში მივაკითხე, იაპონურ რესტორანში ვიყავით, შინაც მივიპატიჟე. მის გუნდს, „დენვერისგან“ განსხვავებით, სულ სხვა მიდგომა აქვს ახალბედების მიმართ. ამარე სტუდემაიერი „ფინიქსში“ საკმაო დროით თამაშობს, თუმც ერთიცაა, დანტონის გუნდს სხვა პოზიციაზე ჰყავს ძლიერი კალათბურთელები და თავს უფლებას აძლევს, ხუთეულში ერთი ახალბედა იყოლიოს.

**— დედა ჩამოგივიდა და სტუმარსაც, ქართველს რომ შეეფერება, ისე გაუმასპინძლდებოდი...**

— რა თქმა უნდა. ვიცოდი, რომ არ დალევდა, მაგრამ სასმელი ზრდილობის გულისთვის შევთავაზე, დედაჩემის გამომცხვარი ხაჭაპურები კი ბლომად მიირთვა. ორიოდ საათია, გავისტუმრე, ხვალ მოედანზე მენახეო.

**— რას ფიქრობ, გათამაშებს ბზდელიკი?**

— მოედანზე ალბათ აუცილებლად შემიყვანს, ვნახოთ, რა გამოვა, ისე კი, ახლა იმდენი საქმე მაქვს, ცხადია, ვხუმრობ და არა მგონია, „ფინიქსთან“ მატჩს სრულ მზადყოფნაში შევხვდე.

**— რა საქმეა?**

— ნბა-ს ატრიბუტიკით მოვაჭრე ერთმა-ერთმა კომპანიამ, რომელთანაც ხელშეკრულება მაქვს გაფორმებული, ჩემი გამოსახულების 1100 პლაკატი მომიტანა ხელმოსაწერად. კონტრაქტის თანახმად, ხვალისთვის მზად უნდა იყოს. ახლა ვზივარ და მეორასე პლაკატს ვაწერ ხელს. ხელი საშინლად დამელალა.

**— გუნდის ხელმძღვანელობამ თუ იცის ეგ ამბავი?**

— კი, როგორ არა, ეს დრაფტზე ყველა მაღალ ნომრად არჩეულის ხვედრია. ამას წინათ 2000 ხელმოწერა დავურთე ჩემს პლაკატს.

**ირაკლი ბერტაია**



ნიკა ცქიტიშვილს ეს კუნთები ეცოტავება

## FIBA-Europe CHALLENGE-CUP

**გუშინ,** თბილისის „დინამომ“ მეორე საჩელენჯქაფო მატჩი ითამაშა. ლევან მოსეშვილის გუნდის მეტოქე აზერბაიჯანული ნტდ იყო, შეხვედრა ბაქოში გაიმართა.

დინამოელებმა მასპინძლები საკმაოდ იოლად, 101:67 დაამარცხეს. შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანული გუნდი წინა სამშაბათს ჩვენი ჯგუფის მესამე წევრთან, უკრაინულ „ხიმიკთან“ 131:59 დამარცხდა ოდესაში, დინამოელებმა კი 30 ოქტომბერს თბილისში ხიმიკელებს 5 ქულა დაუთმეს.

სამგუნდიან ჯგუფიდან ორი საუკეთესო მეოთხედფინალში გავა, ასე რომ, თბილისელებმა თითქმის გაინაღდეს შემდეგ ეტაპზე თამაში — ძნელი წარმოსადგენია დინამოელები ბაქოელებთან 34 ქულაზე მეტით დამარცხდნენ თბილისში.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხიმიკი | 2 | 2 | 0 | 215:138 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 1 | 180:151 | 3 |
| ნტდ | 2 | 0 | 2 | 126:232 | 2. |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შანხაის მასტერსი

შანხაის კორტებზე გახურდა რვა მამაკაცის საჩოგბურთო მასტერსი, რასაც შესაბამისი გულშემატკივრობაც მოჰყვა: ამ ქალაქში მყოფმა შვეიცარიელებმა თავისიან როჯერ ფედერერს ესპანელ ხუან კარლოს ფერეროსთან გამარჯვება უსურვეს და გაუმართლათ კიდეც, ფედერერმა 6:3, 6:4 მოიგო. ამ ჩინელ გოგოს კი სწორედაც რომ წაგებული ესპანელი შეჰყვარებია და დარდიანად გადასცქერის კორტს.




# რომისთვის

გახურდა საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟული ატლანტიკური რეგატა, რუტ დუ რომი, ანუ რომისთვის (სასმელი) სავალი გზა. ამ ნაოსნობამ სენტ მალოში აიღო სტარტი და კუნძულ გვადალუპეს ნაპირებთან დასრულდება. ჯერჯერობით წინ არის ამ ფოტოზე აღბეჭდილი შვეიცარიული ნავი, რომელსაც სტივ რავუსენი კაპიტნობს.





# ახლა ვოლაბები

წინა კვირაში ახალი ზელანდიის, ახლა კი ავსტრალიის მორაგბეთა ნაკრები სწვევია ბუკინგემის სასახლეს. დედოფალი ჩვეული ღიმილით ესალმება ვოლაბ მოთამაშეებს, ჯორჯ სმიტს, ჯერემი პოლს და ტოუტაი კეფუს. ისევე როგორც წინა შაბათს, ახლაც თვიქნემში ახლაც დიდი რაგბია: ინგლისი ამ ჯერზე ავსტრალიას მასპინძლობს.

# გაცოცხლდა ფეხით

*(heading printed as:)* გაპიქნიე ფეხით

ჩირლიდერები ამაოდ საცქერი მოცეკვავე გოგონები არიან, რომლებიც ამერიკის რაგინდარა შეჯიბრებების ცნობილი მონაწილეები არიან და თავისი ცეკვა-თამაშით მაყურებლებს და საყვარელ გუნდებს ამხნევებენ. „დენვერ ბრონკოზის“ ჩირლიდერთა გუნდი მართლაც რომ შთამბეჭდავად ცეკვავს.





# ჯარი იცავს

რაჯკატის „მადჰავრაო სკინდას“ სტადიონზე ინდოეთის მთავრობას ჯარი ჩაუყენებია, რათა ქვეყნის მოკრიკეტეთა ნაკრებმა მშვიდად ივარჯიშოს. ერი გამწყრალია ნაკრებზე, რომელიც ერთდღიანი კრიკეტის სერიაში ვესტ ინდოელებს მასპინძლობს და ორივე ნათამაშები მატჩი წააგო. ორივე თამაშის ბოლოს ინდო მაყურებელმა მინდორზე იხუვლა. წინ კიდევ ხუთი შეყრაა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აბულედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge